პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი № 172 (12380) | სამშაბათი, 24 ივლისი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.



ნ. ხრუშჩოვი ჩრდილოეთ ფლოტის მეზღვაურებთან ერთად ბილეთებს ამოწმებს

წყიბოდით, სადაც ავტრა- [illegible] შორის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი 21 ივლისს ესწრებოდა ჩრდილოეთ ფლოტის წყალზედა და წყალქვეშა ხომალდებისა და ავიაციის სწავლებას. კრეისერ „ადმირალ უშაკოვზე“ სტუმრობის დროს ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა მეზღვაურებს, ზემდეგებსა და ოფიცრებს. მეზღვაურებმა ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცეს თავიანთი ხელით გაკეთებული საჩუქრები. სურათზე: ნ. ს. ხრუშჩოვი მეზღვაურებს შორის.

ფოტო პ. დიუკინისა.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

მრავალი წელია საბჭოთა კავშირი იბრძვის ატომური იარაღის გამოცდის სამუდამოდ შეწყვეტისათვის, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ ნატოელ მოკავშირეებთან ერთად ფუშავენ ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევას. ეს ერთხელ კიდევ დაინახა მთელმა მსოფლიომ, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა განიარაღების საკითხთა 18 სახელმწიფოს კომიტეტში ფაქტიურად უარი თქვეს, რომ მოლაპარაკებისათვის საფუძვლად დაედოთ, როგორც ეს საბჭოთა კავშირმა გააკეთა, ინდოეთის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ბრაზილიისა და ამ კომიტეტის მონაწილე სხვა ნეიტრალისტური სახელმწიფოების წინადადება, რომელიც ითვალისწინებს კონტროლს ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებისადმი ატომურ აფეთქებათა აღმოჩენის ეროვნული საშუალებების დახმარებით. დასავლეთის სახელმწიფოები მოითხოვენ ერთ რამეს: გახლავდეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე საერთაშორისო საკონტროლო პოსტების ქსელი და მოეწყოს ინსპექცია, რომელიც საჭირო არ არის შეთანხმების შესრულების შემოწმებისათვის, მაგრამ მეტად სასურველია ნატოს დაზვერვებისა და სამხედრო შტაბებისათვის, რომლებიც ადგენენ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ აგრესიული ომის გეგმებს.

უკანასკნელი თვეების მანძილზე წყნარ ოკეანეს და ჩრდილოეთ ამერიკაში — ნევადის შტატში — ზედიზედ წარმოებს ატომური იარაღის აფეთქებანი, რასაც ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატები. ატომური იარაღის გამოცდის ეს სერია შორს სცდება ყველა წინა გამოცდის ფარგლებს: ამას წინათ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, პროტესტების, მათ შორის მეცნიერთა პროტესტების ფართო ტალღის მიუხედავად, ააფეთქეს დიდი სიმძლავრის ატომური მოწყობილობა რამდენიმე ასეულ კილომეტრ სიმაღლეზე და ხალხებისათვის საძულველი გამალებული შეიარაღება კოსმოსში გაავრცელეს.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ დაიწყებდა ატომური იარაღის გამოცდის ახლანდელი სერიის განხორციელებას, კარგად იცოდა, რომ, თუ კვლავ აფეთქდება ამერიკული ატომური ბომბები, საბჭოთა კავშირი იძულებული იქნება განახორციელოს თავისი ატომური იარაღის გამოცდა. ამის შესახებ პირდაპირ გააფრთხილა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კენედი 1962 წლის 3 მარტის წერილით. მაშასადამე, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სავსებით ითვალისწინებდა, თუ რას სჩადიოდა. მის, და მხოლოდ მის ხელში იყო იმ საკითხის გადაჭრა, რომ ის გამოცდა, რომელიც იძულებული იყო განეხორციელებინა საბჭოთა კავშირს 1961 წლის შემოდგომაზე, უკანასკნელი იქნება თუ მთელ ჩვენს პლანეტას გადაუვლის საცდელ ატომურ აფეთქებათა ახალი ტალღა. და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გააკეთა არჩევანი. ამერიკის ატომური ბომბების აფეთქებამ შობისა და ჯონსტონის კუნძულებზე გამოიწვია თავისი ექო—გარდუვალი გახადა საპასუხო საბჭოთა ატომური აფეთქებანი.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არ მალავს, რომ ატომური იარაღის გამოცდების ახალი სერია და განსაკუთრებით გამოცდები კოსმოსურ სივრცეში განახორციელა იმისათვის, რომ სამხედრო უპირატესობა მოეპოვებინა საბჭოთა კავშირთან შედარებით. საბჭოთა მთავრობა ვერ გააძართლებდა საბჭოთა ხალხის ნდობას, ვერ გამოიჩენდა ზრუნვას საბჭოთა სახელმწიფოს მომავლისათვის, თუ იგი ვერ გააკეთებდა სათანადო დასკვნებს. არა, საბჭოთა კავშირი ვერ განაცდევინებს ასეთ სიამოვნებას იმათ, ვისაც აგრესიული ზრახვები აქვს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, ვინც გვემუქრება ჩვენ და ჩვენს მოკავშირეებს პრევენტიული ომით.

საბჭოთა ადამიანებს ახსოვთ და არასოდეს არ დაავიწყდებათ ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმა ჩვენს სამშობლოზე. 1941 წლის გამოცდილებით მათ იციან, თუ რა საარსებოდ დიდმნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ქვეყნის თავდაცვა იყოს მეცნიერებისა და სამხედრო ტექნიკის უახლეს მიღწევათა დონეზე, რომ ყოველ მომენტში მზად იყოს სავსებით შეიარაღებული დახვდეს აგრესორს.

საბჭოთა მთავრობამ ამერიკული ატომური იარაღის გამოცდების სერიის პასუხად გასცა განკარგულება მოეწყოს უახლესი ნიმუშების საბჭოთა ატომური იარაღის გამოცდა. საბჭოთა კავშირი იძულებული ხდება გადადგას ეს ნაბიჯი. ამ გამოცდების განხორციელების დროს მიღებულ იქნება ყველა საჭირო ღონისძიება იმისათვის, რომ რადიოაქტიური ნალექები მინიმალური იყოს. ამ მხრივ საბჭოთა კავშირმა კარგ შედეგებს მიაღწია. ფართოდ აღიარებულია, რომ საბჭოთა ატომური იარაღის გამოცდებს გასული წლის შემოდგომაზე არ მოჰყოლია რადიოაქტიურობის რაიმე არსებითი გადიდება ატმოსფეროში, დედამიწის ზედაპირზე თუ ოკეანეში.

ყოველ ადამიანს, ვინც აფასებს სამართლიანობის გრძნობას, ყოველ უწინაზრახვო ადამიანს არ შეუძლია არ დაეთანხმოს იმას, რომ რადგან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პირველმა დაიწყეს ატომური იარაღის გამოცდები და თავიანთ მოკავშირეებთან ერთად გაციელებით მეტი გამოცდა განახორციელეს, ვიდრე საბჭოთა კავშირმა, მეორე მხარეს — საბჭოთა კავშირს, რომელიც მუდამ აფრთხილებდა თავისი ატომური იარაღის გამოცდას მხოლოდ როგორც საპასუხო ღონისძიებას, — უფლება აქვს უკანასკნელმა დაამთავროს მსოფლიოში ატომური იარაღის გამოცდა.

საბჭოთა მთავრობა მოუწოდებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების მთავრობებს უურად იღონ ხალხების მოთხოვნები და მოსპონ ხელოვნური დაბრკოლებანი ატომური იარაღის გამოცდების გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევის გზაზე, შეთანხმებისა. რომელსაც საფუძვლად დაედება მეცნიერების მონაცემები, რაც საშუალებას იძლევა განხორციელდეს კონტროლი ასეთი შეთანხმების განუხრელად შესრულებისადმი აღმოჩენის ეროვნულ საშუალებათა დახმარებით.

საბჭოთა მთავრობა უერთდება მოწოდებას, რომლითაც საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესმა მიმართა ყველა ქვეყნის ხალხებს, — განამტკიცონ მშვიდობა, იბრძოლონ განიარაღებისათვის, ატომური მოსპობის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნისათვის. ამ მოწოდებაში განსახიერებულია ხალხთა ნება, ეს ნება კი ისტორიის უმაღლესი კანონია. ბრძოლა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის, მშვიდობისათვის გრძელდება და იგი უნდა დაგვირგვინდეს მშვიდობის საქმის გამარჯვებით.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადი შემადგენლობისათვის საგჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მთავრობის სპეციალური დავალების წარმატებით შესრულებისათვის მიენიჭოთ **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“**:

ჩრდილოეთის ფლოტის წყალქვეშა ნავების ფლოტილის სარდალს კონტრ-ადმირალ **პეტელინს** ალექსანდრე ივანეს-ძეს.

ატომური წყალქვეშა ნავის მეთაურს მე-2 რანგის კაპიტან **ფილცოვს** ლევ მიხეილის-ძეს.

ატომური წყალქვეშა ნავის ელექტრომექანიკური საბრძოლო ნაწილის მეთაურს მე-2 რანგის ინჟინერ-კაპიტან **ტიმოფეევს** რიურიკ ალექსანდრეს-ძეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 20 ივლისი.

კიბოს საწინააღმდეგო VIII საერთაშორისო კონგრესს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის სახელით მივესალმები კიბოს საწინააღმდეგო VIII საერთაშორისო კონგრესის მონაწილეებს.

კიბოს საწინააღმდეგო VIII საერთაშორისო კონგრესი, რომელზეც წარმოდგენილ არიან მსოფლიოს მეტი წილი ქვეყნების მეცნიერები, მოწოდებულია განიხილოს თანამედროვე მედიცინის ერთ-ერთი უმთავრესი და, მე ვიტყოდი, უძნელესი პრობლემა.

მის გადაწყვეტაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცნიერთა და არა მარტო მედიცინის მუშაკთა, არამედ მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენელთა ფართო წრის ერთობლივი მეცადინეობა და საერთაშორისო შემოქმედებითი თანამშრომლობა.

საბჭოთა მთავრობა დიდ უურადღებას უთმობს კიბოს პრობლემის მეცნიერული გამოკვლევის განვითარებას საბჭოთა კავშირში და მეცნიერების ყველა მიღწევის პრაქტიკულ გამოყენებას ადამიანის ამ მძიმე სნეულების თავიდან აცილებისა და მკურნალობის დარგში.

საბჭოთა მთავრობა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო თანამშრომლობას, ინიციატორი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელით საერთაშორისო პრემიის დაწესებისა ყველაზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომებისათვის კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის დარგში. უმაღლესი ჯილდო თვითეული მეცნიერის ან მეცნიერთა ჯგუფისათვის, რომელიც მიაღწევენ თვალსაჩინო შედეგებს კიბოს პრობლემის გადაწყვეტაში, მთელი კაცობრიობის უდიდესი მადლობაა.

ადამიანის გულისათვის, მისი კეთილდღეობისათვის ამ მაღალჰუმანური და კეთილშობილური საქმის წარმატების ერთ-ერთ გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს მეცნიერთა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი აღმოჩენების, უდიდესი მატერიალური რესურსების გამოყენება მშვიდობიანი მიზნებისათვის.

ეჭვი არ მეპარება, რომ მეცნიერი მედიკები — კიბოს საწინააღმდეგო VIII საერთაშორისო კონგრესის მონაწილენი, როგორც ყველაზე ჰუმანური პროფესიის წარმომადგენლები, განზე არ გაუდგებიან მშვიდობისათვის ხალხთა პროგრესული ისტორიულ მოძრაობას, რომელთა იმედების მკაფიო გამომხატველი იყო მოსკოვში ამას წინათ გამართული მშვიდობისა და განიარაღების საერთაშორისო კონგრესი.

მეცნიერების წარმომადგენლებს, ისე როგორც არავის, წარმოუდგენიათ, რა გამოუსწორებელი უბედურება შეუძლია მოუტანოს კაცობრიობას ახალმა მსოფლიო ომმა და თანამედროვე გამანადგურებელი საშუალების — ატომური იარაღის გამოყენებამ.

საბჭოთა მთავრობა და მთელი საბჭოთა ხალხი ყოველ ღონეს ხმარობენ და კვლავაც იხმარენ მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის, აგრეთვე მედიცინის დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის.

იმედი მაქვს, რომ კიბოს საწინააღმდეგო VIII საერთაშორისო კონგრესი, მსოფლიოს ეს უდიდესი სამეცნიერო ფორუმი, იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი მეცნიერთა შემოქმედებითი მეცადინეობის გაერთიანების საქმეში კიბოთი დაავადებათა წინააღმდეგ ეფექტური ზომების შესაქმნელად.

სულით და გულით გისურვებთ წარმატებას თქვენს კეთილშობილურ მუშაობაში კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ნ. ხრუშჩოვი.

1962 წლის 22 ივლისი.

ნ. ს. ხრუშჩოვი დაესწრო ჩრდილოეთის ფლოტის სწავლებას

ჩრდილოეთის ფლოტი, 21 ივლისი. (საკუთარი). დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვი კვლავ ეცნობოდა ჩრდილოეთის ფლოტს.

დილით ნ. ს. ხრუშჩოვი და თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი ფლოტის ადმირალი ს. გ. გორშკოვი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი, ჩრდილოეთის ფლოტის სარდალი ადმირალი ვ. ა. კასატონოვი გავიდნენ ზღვაში კრეისერ „ადმირალ უშაკოვით“ და თვალყურს ადევნებდნენ ფლოტის წყალზედა და წყალქვეშა ხომალდებისა და ავიაციის სწავლებას.

სწავლების დროს გამოყენებულ იქნა სამხედრო-საზღვაო ფლოტის თანამედროვე იარაღი. მოეწყო რაკეტული წყალზედა ხომალდებისა და ატომური რაკეტული წყალქვეშა ნავების სროლა. ნავებმა რაკეტები ისროლეს წყალქვეშა მდგომარეობიდან.

ნ. ს. ხრუშჩოვმა და თავდაცვის მინისტრმა რ. ი. მალინოვსკიმ მაღალი შეფასება მისცეს სწავლების შედეგებს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაუხადა ჩრდილოეთის ფლოტის სარდალს ადმირალ ვ. ა. კასატონოვს, ადმირალებს, ოფიცრებს, ზემდეგებსა და მატროსებს ოსტატობისა და დიდი წარმატებებისათვის იმ ახალი ტექნიკის ათვისებაში, რომლითაც ჩვენი ქვეყანა აიარაღებს სამხედრო-საზღვაო ფლოტს.

სწავლებას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ფ. უსტინოვი და სკკპ მურმანსკის საოლქო კომიტეტის მდივანი გ. ი. დენისოვი.

კრეისერ „ადმირალ უშაკოვზე“ ყოფნის დროს ნ. ს. ხრუშჩოვი იყო მატროსების კუბრიკებსა და ოფიცრების კაიუტებში, ესაუბრა მატროსებს, ზემდეგებსა და ოფიცრებს, სურათი გადაიღო ხომალდის პირად შემადგენლობასთან. მატროსებმა ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები — ხომალდების მოდელები, რომლებიც მათ დაამზადეს.

ხომალდის კუბრიკში ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა თანმხლებმა ამხანაგებმა შემდეგი ჩანაწერი დატოვეს:

„ჩრდილოეთის ფლოტის სახელოვან მეზღვაურებს! სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა კრეისერ „ადმირალ უშაკოვის“ მატროსებთან, ზემდეგებთან და ოფიცრებთან შეხვედრამ.

თქვენმა ერთსულოვანმა და შეკავშირებულმა კოლექტივმა, ისევე როგორც ფლოტის სხვა ხომალდების ეკიპაჟებმა, რომლებსაც ჩვენ ვეწვიეთ, ცხადყო, მაღალი საზღვაო ოსტატობა, დისციპლინა.

სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ჩვენ გვაკავს ასეთი შესანიშნავი შეომრები, რომლებიც მზად არიან ყოველ წუთს პირნათლად და დირსეულად შეასრულონ თავიანთი მხედრული მოვალეობა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს — სსრ კავშირის დაცვის დროს.

ვუსურვებთ ჩრდილოეთის ფლოტის სახელოვან მეზღვაურებს ახალ მიღწევებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში, სამხედრო დისციპლინის შემდგომ განმტკიცებაში.

თქვენი მხედრული საქმეებით ამრავლეთ ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ტრადიციები! იყავით ფხიზლად!

ნ. ხრუშჩოვი, დ. უსტინოვი, რ. მალინოვსკი, გ. დენისოვი, ს. გორშკოვი, ა. ეპიშევი“.

1962 წლის 21 ივლისი

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის მეზღვაურები გულითადად შეხვდნენ ნ. ს. ხრუშჩოვს. მათ აღუთქვეს პარტიასა და მთავრობას, რომ არ დაიშურებენ ძალღონეს საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მოიპოვებენ ახალი ტექნიკის ათვისებაში, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების შემდგომ ამაღლებაში.

ჩრდილოეთის ფლოტი

ნ. ს. ხრუშჩოვმა ორდენები და მედლები გადასცა წყალქვეშა ნავის ეკიპაჟს

ჩრდილოეთის ფლოტი. 21 ივლისი. (საკუთარი). დღეს ნაშუადღევს ნ. ს. ხრუშჩოვი, რ. ი. მალინოვსკი, ს. გ. გორშკოვი, ა. ა. ეპიშევი, ვ. ა. კასატონოვი ჩრდილოეთის ფლოტის ერთ-ერთ სამხედრო-საზღვაო ბაზაში შეხვდნენ იმ ატომური წყალქვეშა ნავის პირად შემადგენლობას, რომელსაც მეთაურობს მეორე რანგის კაპიტანი ლ. მ. ყილოვი. ამ ხომალდის ეკიპაჟი ეს-ეს არის დაბრუნდა ზღვიდან მთავრობის სპეციალური დავალების შესრულების შემდეგ.

წყალქვეშა ნავის მთელმა პირადმა შემადგენლობამ — მატროსებმა, ზემდეგებმა, ოფიცრებმა გამოავლინეს მამაცობა და სიმტკიცე, ცხადყვეს მაღალი საბრძოლო ოსტატობა და უახლესი საბრძოლო ტექნიკის ფლობის უნარი წყალქვეშა ნაოსნობის მეტად ძნელ და რთულ პირობებში. კონტრ-ადმირალმა ა. ი. პეტელინმა მოახსენა ნ. ს. ხრუშჩოვს მთავრობის სპეციალური დავალების წარმატებით შესრულება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ატომური წყალქვეშა ნავის პირადი შემადგენლობა აღნიშნულია მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ლენინის ორდენები და საბჭოთა კავშირის გმირის მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ გადასცა კონტრ-ადმირალ ა. ი. პეტელინს, მეორე რანგის კაპიტანს ლ. მ. ყილოვს, მეორე რანგის ინჟინერ-კაპიტანს რ. ა. ტიმოფეევს. ლენინის, წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის ორდენები და მედლები „მამაცობისათვის“ გადაეცა წყალქვეშა ნავის მატროსების, ზემდეგებისა და ოფიცრების ჯგუფს, რომლებიც მონაწილეობდნენ მთავრობის სპეციალური დავალების შესრულებაში.

ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მხურვალედ მიულოცა წყალქვეშა ნავის მეზღვაურებს მთავრობის დავალების წარმატებით შესრულება და მაღალი ჯილდოები, უსურვა მათ ახალი წარმატებანი რთულ და კეთილშობილურ შრომაში ჩვენი საბჭოთა სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად.

დაჯილდოებულებმა დიდი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოებისათვის.

მაღალი ჯილდო ჩრდილოეთის ფლოტის წყალქვეშა ნავის მამაც მეზღვაურებს

ნ. ს. ხრუშჩოვმა ორდენები და მედლები გადასცა წყალქვეშა ნავის ეკიპაჟს

ჩრდილოეთის ფლოტი. 21 ივლისი. (საკუთარი). დღეს ნაშუადღევს ნ. ს. ხრუშჩოვი, რ. ი. მალინოვსკი, ს. გ. გორშკოვი, ა. ა. ეპიშევი, ვ. ა. კასატონოვი ჩრდილოეთის ფლოტის ერთ-ერთ სამხედრო-საზღვაო ბაზაში შეხვდნენ იმ ატომური წყალქვეშა ნავის პირად შემადგენლობას, რომელსაც მეთაურობს მეორე რანგის კაპიტანი ლ. მ. ყილოვი. ამ ხომალდის ეკიპაჟი ეს-ეს არის დაბრუნდა ზღვიდან მთავრობის სპეციალური დავალების შესრულების შემდეგ.

წყალქვეშა ნავის მთელმა პირადმა შემადგენლობამ — მატროსებმა, ზემდეგებმა, ოფიცრებმა გამოავლინეს მამაცობა და სიმტკიცე, ცხადყვეს მაღალი საბრძოლო ოსტატობა და უახლესი საბრძოლო ტექნიკის ფლობის უნარი წყალქვეშა ნაოსნობის მეტად ძნელ და რთულ პირობებში. კონტრ-ადმირალმა ა. ი. პეტელინმა მოახსენა ნ. ს. ხრუშჩოვს მთავრობის სპეციალური დავალების წარმატებით შესრულება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ატომური წყალქვეშა ნავის პირადი შემადგენლობა აღნიშნულია მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ლენინის ორდენები და საბჭოთა კავშირის გმირის მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ გადასცა კონტრ-ადმირალ ა. ი. პეტელინს, მეორე რანგის კაპიტანს ლ. მ. ყილოვს, მეორე რანგის ინჟინერ-კაპიტანს რ. ა. ტიმოფეევს. ლენინის, წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის ორდენები და მედლები „მამაცობისათვის“ გადაეცა წყალქვეშა ნავის მატროსების, ზემდეგებისა და ოფიცრების ჯგუფს, რომლებიც მონაწილეობდნენ მთავრობის სპეციალური დავალების შესრულებაში.

ორდენებისა და მედლების გადაცემის შემდეგ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მხურვალედ მიულოცა წყალქვეშა ნავის მეზღვაურებს მთავრობის დავალების წარმატებით შესრულება და მაღალი ჯილდოები, უსურვა მათ ახალი წარმატებანი რთულ და კეთილშობილურ შრომაში ჩვენი საბჭოთა სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად.

დაჯილდოებულებმა დიდი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მაღალი ჯილდოებისათვის.

მეზვიდოგის ძალების დიდი გამარჯვება

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

მოსკოვი, 23 ივლისი (საკუთარი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ლაოსის საკითხის მოწესრიგების საერთაშორისო თათბირს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ხაზს უსვამს, რომ ჟენევის შეთანხმებანი ლაოსის შესახებ მოასწავებენ „მშვიდობის პოლიტიკისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის ქვეყნების თანამშრომლობის დიდ გამარჯვებას“.

ლაოსის შესახებ ჟენევის თათბირის მუშაობის წარმატებით დამთავრება, ნათქვამია წერილში, ცხადყოფს, რომ თუ არსებობს კეთილი ნება და თანამშრომლობის, ინტერესთა ურთიერთ გათვალისწინების საფუძველზე შეთანხმების გულწრფელი სურვილი, შესაძლებელია გადაეჭრას მოუწესრიგებელი საერთაშორისო პრობლემები, რა რთულიც უნდა იყოს ისინი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საგჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს გასულ ნახევარ წელიწადში შემდგომი წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესრულებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და მისი ცხოვრების კულტურული დონის ამაღლებაში.

I. მრეწველობა

საქართველოს სსრ მრეწველობამ საერთო პროდუქციის წარმოების 1962 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმა 104 პროცენტით შეასრულა, მინისტრთა საბჭოსა და სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა მრეწველობამ — 104 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობამ — 107 პროცენტით. რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობა 1961 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 9 პროცენტით, მინისტრთა საბჭოსა და სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობისა — 10 პროცენტით.

სახელმწიფო მრეწველობის ცალკეული დარგების წარმოების ზრდა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1962 წლის I ნახევარი პროცენტობით 1961 წლის I ნახევართან შედარებით
შავი მეტალურგია	102
სათბობის მრეწველობა	107
ელექტროენერგიისა და თბოენერგიის წარმოება	116
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	120
ქიმიური მრეწველობა	102
საშენ მასალათა მრეწველობა	110
სატყეო, ქაღალდისა და ხისდასამუშავებელი მრეწველობა	103
მსუბუქი მრეწველობა	104
აქედან საფეიქრო	106
კვების მრეწველობა	113
აქედან:	
ხორცისა	99,4
კარაქის, ყველისა და რძის სხვა პროდუქტების წარმოება	104
მეღვინეობა	124
ჩაის მრეწველობა	111
თამბაქოს მრეწველობა	86

საერთო პროდუქციის წარმოების ნახევარი წლის გეგმა აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე მდებარე სამრეწველო საწარმოებმა შეასრულეს 107 პროცენტით, აჭარის ასსრ ტერიტორიაზე — 106 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა — 110 პროცენტით, ქალაქ თბილისისა — 104 პროცენტით.

1961 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდამ შეადგინა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 6 პროცენტი, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 14 პროცენტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 14 პროცენტი, ქალაქ თბილისში — 6 პროცენტი.

მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოებისა და წარმოების საერთო მოცულობის ზრდის 1962 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულება 1961 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივ სამმართველოებსა და ტრესტებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1962 წლის I ნახევრის გეგმის შესრულება % ის პროცენტი	1962 წლის I ნახევარი პროცენტობით 1961 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით
სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობა	104	110
მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო	100,4	105
მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველო	102	119
ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის სამმართველო	104	128
ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველო	104	116
საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო	103	105
სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო	106	107
საფეიქრო მრეწველობის სამმართველო	103	106
მსუბუქი მრეწველობის სამმართველო	97	102
ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველო	104	99,8
პიათურის მარგანეცის ტრესტი	99,8	94
ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი	101	117
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი	106	104
ახალციხის ქვანახშირის მაღაროთა-სამმართველო	90	85
საქართველოს შახტების მშენებლობის ტრესტი	114	125
სამთამადნო მრეწველობის ტრესტი	112	103
საქართველოს ნავთობის ტრესტი	103	104
საქართველოს ჩაის ტრესტი	110	111
სამტრესტი	104	124
საქართველოს კონსერვტრესტი	117	134
საქართველოს პურისა და საკონდიტრო მრეწველობის ტრესტი	105	107
საქართველოს ცხიმეულეთერზეთის მრეწველობის ტრესტი	108	118
საქართველოს თამბაქოს ტრესტი	103	86
საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტი	104	103
საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტი	87	88
საქართველოს ტორფის მრეწველობის ტრესტი	99	155

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(დასასრული)

მაშინ, როცა მთლიანად სახალხო მეურნეობის საბჭოში საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულებულია, მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ უზრუნველყვეს გეგმის შესრულება. სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა საერთო რიცხვიდან ნახევარი წლის გეგმა ვერ შეასრულა 67 საწარმომ, ანუ 13 პროცენტმა. მათ სახელმწიფოს დააკლეს 8,5 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია.

რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა საერთო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა შეასრულეს 104 პროცენტით, აქედან სატყეო და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს სამრეწველო საწარმოებმა — 116 პროცენტით, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საწარმოებმა — 108 პროცენტით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს საწარმოებმა — 105 პროცენტით, კულტურის სამინისტროსა და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებმა — 104 პროცენტით, მშენებლობის სამინისტროს საწარმოებმა — 103 პროცენტით, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საწარმოებმა — 102 პროცენტით, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საწარმოებმა — 88 პროცენტით და განათლების სამინისტროს საწარმოებმა — 80 პროცენტით.

თუმცა ადგილობრივი საბჭოების მრეწველობამ საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, 1962 წლის პირველი ნახევრის გეგმა ვერ შეასრულეს ზუგდიდის, ქარელის, ყვარლის, ლანჩხუთის, ლენტეხის, ონის, სამგორის, ცაგერის, წითელწყაროს, წულუკიძის, ჩოხატაურის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატებმა და ჭიათურის სამთო მრეწველობის კომბინატმა. მათ სახელმწიფოს დააკლეს დაახლოებით 0,6 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია.

მრეწველობის ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოება ნატურალური გამოხატულებით მთლიანად რესპუბლიკაში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	წარმოებულია 1962 წლის I ნახევარში	1962 წლის I ნახევრის პროცენტი 1961 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით
თუჯი — ათასი ტონა	387,9	101
ფოლადი — ათასი ტონა	624,3	106
ნაგლინი — ათასი ტონა	459,9	105
ფოლადის მილები — ათასი ტონა	185,0	103
ქვანახშირი — ათასი ტონა	1379	106
ჭოქსი მთლიანი — ათასი ტონა	321,2	104
ელექტროენერგია — მილიონი კილოვატსაათი	1990	114
მინერალური სასუქები — ათასი ტონა	172	113
სამაგისტრალო ელმავლები — ცალი	78	144
სატვირთო ავტომობილები — ცალი	3735	124
ლითონსაჭრელი ჩარხები — ცალი	2052	105
კოშკურა ამწეები — ცალი	56	106
ელეკტროკარები — ცალი	983	137
ტრაქტორები — ცალი	151	106
სასოფლო-სამეურნეო მანქანები (უსათადარიგონაწილებოდ) — ათასი მანეთი	426	66
ცემენტი — ათასი ტონა	640,7	99,5
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	27,5	117
აგური (დამხმარე საწარმოთა და კოლმეურნეობათა წარმოების გარდა) — მილიონი ცალი	171,1	103
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — ათასი კუბური მეტრი ნაკეთობა	201,1	126
ქაღალდი — ათასი ტონა	17,0	100,9
ავეჯი — მილიონი მანეთი	10,0	106
ბამბის ქსოვილები — მილიონი გრძივი მეტრი	27,7	116
აბრეშუმის ქსოვილები — მილიონი გრძივი მეტრი	9,9	104
შალის ქსოვილები — მილიონი გრძივი მეტრი	2,5	99,5
წინდა — მილიონი წყვილი	4,2	97
ტრიკოტაჟის საცვლები — მილიონი ცალი	5,4	147
ზედა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	1,6	122
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	5,2	96
პიანინოები და როიალები — ცალი	1824	100,8
თევზის ჭერა — ათასი ტონა	2,3	115
ხორცი I კატეგორიის სუბპროდუქტების ჩათვლით (სამრეწველო გამომუშავება კოოპერაციული მრეწველობის საწარმოების გარდა) — ათასი ტონა	7,3	93
ყველი — ათასი ტონა	4,8	101
მარგარინის ნაწარმი — ათასი ტონა	5,8	100,9
კონსერვები — მილიონი პირობითი ქილა	28,9	109
საკონდიტრო ნაწარმი — ათასი ტონა	10,0	107
მაკარონის ნაწარმი — ათასი ტონა	7,4	121
ერბო-კარაქი — ტონა	486	86
ჩაი ნატურალური ხარისხოვანი დაფასოებული — ათასი ტონა	5,0	123
ფხვნილი შაქარი — ათასი ტონა	26,1	72
პაპიროსი და სიგარეტი — მილიარდი ცალი	6,6	88
ყურძნის ღვინო — მილიონი დეკალიტრი	3,4	134
შამპანური — მილიონი ბოთლი	3,4	100,9
საპონი — ათასი ტონა	7,0	102

წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად გაიზარდა მძიმე მრეწველობის პროდუქციის წარმოება. გეგმის გადამეტებით წარმოებულია: ფოლადი — 8,5 ათასი ტონა, ნაგლინი — 25,3 ათასი ტონა, ფოლადის მილები — 1,3 ათასი ტონა, ჭოქსი — 16,2 ათასი ტონა, ქვანახშირი — 20 ათასი ტონა, ელექტროენერგია — 81 მილიონი კილოვატ-საათი, ელექტროკარები — 18 ცალი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები (უსათადარიგონაწილებოდ) — 56 ათასი მანეთისა, ტრაქტორის კულტივატორები — 45 ცალი, ქაღალდი — 299 ტონა, ცემენტი — 18,7 ათასი ტონა, აბრეშუმის ქსოვილები — 62 ათასი გრძივი მეტრი, ტრიკოტაჟის საცვლები — 390 ათასი ცალი, ზედა ტრიკოტაჟი — 62 ათასი ცალი, ფხვნილი შაქარი — 5,7 ათასი ტონა, ხორცი — 1,3 ათასი ტონა, ნატურალური ჩაი — 52 ტონა, ყურძნის ღვინო — 36 ათასი დეკალიტრი.

მეტ წილ ზემოთ ჩამოთვლილ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია მთლიანად და გადაჭარბებით. მაგრამ, წარმოების ზრდის მიუხედავად, არ შესრულებულა მინერალური სასუქების, სინთეზური ამიაკის, ლითონსაჭერელი ჩარხების, სატვირთო ავტომობილების, კოშკურა ამწეების წარმოების ნახევარი წლის გეგმა.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები, სამშენებლო ორგანიზაციები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებანი კვლავ ახორციელებდნენ ღონისძიებებს ახალი ტექნიკის განვითარებისა და დანერგვისათვის. სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვა ხორციელდებოდა გამომგონებლთა და რაციონალიზატორთა შემოქმედებითი მონაწილეობით, რომლებმაც წლის პირველ ნახევარში შეიტანეს დაახლოებით 11 ათასი წინადადება. სახალხო მეურნეობაში დაინერგა 3,1 ათასამდე წინადადება, რომელთა წლიური ეკონომია 5 მილიონ მანეთამდე აღემატება.

რესპუბლიკის მრეწველობამ აითვისა 17 ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის სერიული გამოშვება, მათ შორის 8 ტოხტვირთამფრენის კეხიანი საწვავი კაზ-606, მილიანი თბოგადამცემი ბადაგისათვის, სხვადასხვა ელექტროტექნიკური ხელსაწყოები და მოწყობილობა და სხვ.

მაგრამ ბევრ საწარმოს არ შეუსრულებია ახალ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის შექმნისა და ათვისების დავალებანი. გორის ხელსაწყოების ქარხანამ წლის პირველ ნახევარში ვერ შეასრულა 3 სახეობის ხელსაწყოს წარმოების ათვისების გეგმა, თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანამ, თბილისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანამ, ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანამ — ორ-ორი სახეობის მანქანებისა.

შრომის ნაყოფიერების ნახევარი წლის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობაში შესრულებულია 103 პროცენტით, აქედან სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობაში — 103 პროცენტით.

1961 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ზრდამ რესპუბლიკაში შეადგინა 7 პროცენტი, აქედან სახალხო მეურნეობის საბჭოში — 6 პროცენტი.

ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე დანახარჯის შემცირების 1962 წლის პირველი ნახევრისათვის დადგენილი გეგმა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებში არ შესრულებულა.

სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა თუჯისა და ფოლადის სხმულის, აგრეთვე ნატვიფრისა და ნაჭედის კოოპერირებული მიწოდების ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულეს. მაგრამ, მთელ რიგ საწარმოებს არ შეუსრულებიათ თავიანთი ვალდებულებანი კოოპერაციული მიწოდების დარგში. მაგალითად, ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანამ და რუსთავის მექანიკურმა ქარხანამ ვერ შეასრულეს თუჯის სხმულის მიწოდების გეგმა, ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ — ნატვიფრისა და ნაჭედის მიწოდების გეგმა.

II. სოფლის მეურნეობა

ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი მუშაობა გაჩაღდა იმ ღონისძიებათა შესასრულებლად, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის. სოფლის მშრომელნი იბრძვიან იმისათვის; რომ სოფლის მეურნეობის განვითარებაში უმოკლეს ვადაში მიაღწიონ ახალ ზღუდეებს, რომლებიც პარტიის XXII ყრილობამ და სსკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა დასახეს.

1 ივნისიდან გადიდებულია შესასყიდი ფასები პირუტყვისა და ფრინველისა, რასაც სახელმწიფო ყიდულობს კოლმეურნეობებისაგან. გადიდებულია აგრეთვე ჩაბარების ფასები საბჭოთა მეურნეობებისათვის. ეს უზრუნველყოფს პირუტყვისა და ფრინველის წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მკვეთრი გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების შემდგომ ზრდას.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა წარმატებით დაამთავრეს მიხდვრის საგაზაფხულო სამუშაოები. საგაზაფხულო თესვის გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაუმჯობესეს ნათესი ფართობების სტრუქტურა, გაადიდეს მაღალპროდუქტიული კულტურების ნათესები მცირეპროდუქტიული კულტურების ნათესი ფართობის შემცირებით.

ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ნათესი ფართობები, შესაბამისი წლის მოსავლის საშემოდგომო კულტურების ჩათვლით, ხასიათდება შემდეგი მონაცემებით: — (ათასი ჰექტარი):

	1961 წ.	1962 წ.	1962 წ. პროცენტი 1961 წელთან შედარებით
მთელი ნათესი ფართობი	778,0	800,7	103
აქედან:			
მარცვლეული კულტურები და სამარცვლე პარკოსნები (უსიმინდოდ)	197,2	260,2	132
მათ შორის სამარცვლე პარკოსნები	12,1	27,8	230
აქედან:			
ბარდა	2,0	17,0	8,5-ჯერ
საკვები პარკოსნები	—	1,4	—
სრული სიმწიფის სამარცვლე სიმინდი	227,6	267,4	117
შაქრის ჭარხალი — სულ	7,7	11,7	152
აქედან პირუტყვის საკვები შაქრის ჭარხალი	2,3	6,3	274
მზესუმზირა	16,2	17,4	107
კარტოფილი	25,8	24,1	93
ბოსტნეული	21,8	20,7	95
ერთწლიანი ბალახები	72	50,8	72
1962 წელს ნათესი მრავალწლიანი ბალახები	9,2	3,3	36
გასულ წლებში ნათესი მრავალწლიანი ბალახები	42,3	37,2	88

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები შეადგენდა 800,7 ათას ჰექტარს, ანუ შარშანდელთან შედარებით გადიდდა 22,7 ათასი ჰექტარით, სამემოდგომო კულტურებისა — 48,1 ათასი ჰექტარით, ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების ფართობი შემცირდა. მარცვლეული კულტურები და სამარცვლე პარკოსნები (სრული სიმწიფის სამარცვლე სიმინდის ჩათვლით) დაითესა 527,6 ათასი ჰექტარი, ანუ თითქმის 102,8 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე გასულ წელს.

ხორბლის ნათესები გადიდდა 28,8 ათასი ჰექტარით, სამარცვლე პარკოსნებისა — 15,7 ათასი ჰექტარით, აქედან ბარდისა — 15 ათასი ჰექტარით, პირუტყვის საკვები შაქრის ჭარხლისა — 4 ათასი ჰექტარით.

1962 წლის პირველ ნახევარში წარმოებულია 10 პროცენტით მეტი სატრაქტორო სამუშაოები, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უკეთ, ვიდრე 1961 წელს, ასრულებენ საკვების დამზადების სამუშაოებს. 1962 წლის პირველი ივლისისათვის უფრო მეტი, ვიდრე 1961 წლის ამავე თარიღისათვის, მოთიბულია თივა, ჩადებულია სილოსი და დამზადებულია უხეში საკვები.

ხეხილის ბაღები კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააშენეს 2,4 ათას ჰექტარზე მეტი, ვენახი — 628 ჰექტარი და ჩაის პლანტაციები — 446 ჰექტარი.

სახოგადოებრივი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემდეგნაირად შეიცვალა (ათასი სული):

	1962 წ. 1 ივლისისათვის	1962 წ. 1 ივლისისათვის პროცენტი 1961 წლის 1 ივლისთან შედარებით
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	703,6	99,8
მათ შორის ძროხა და ფუტკამეჩი	176,8	102
ღორი	245,9	102
ცხვარი და თხა	1785,4	106

1961 წლის 1 ივლისთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემცირდა 1,6 ათასი სულით, ძროხისა და ფუტკამეჩის სულადობა გადიდდა 3,6 ათასით, ცხვრისა და თხისა — 104,6 ათასით, ღორისა — 5,1 ათასით.

თუმცა მთელი ფრინველის სულადობა საერთოდ შემცირდა, კვერცხისმდებელი ქათმის სულადობა 8 პროცენტით გადიდდა.

1962 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე გოქის ნამატი მიღებულია 7,4 ათასით მეტი და ბატკნის და თოკნისა — 52,7 ათასი სულით მეტი, ვიდრე 1961 წელს ამავე პერიოდში. 1962 წლის პირველ ნახევარში ღორის, ცხვრისა და თხის სიკვდილიანობა შემცირდა 1961 წლის პირველ ნახევართან შედარებით.

1962 წლის 1 ივლისისათვის გასასუქებლად დაყენებულია 29 პროცენტით მეტი და გასუქებულია 5 პროცენტით მეტი ღორი, ვიდრე 1961 წლის 1 ივლისისათვის.

პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა გადიდდა შემდეგი ოდენობით — (ათასი ტონა):

	შესყიდულია 1961 წლის I ნახევარში	შესყიდულია 1962 წლის I ნახევარში	1962 წ. პროცენტი 1961 წელთან შედარებით
პირუტყვი და ფრინველი — ცოცხალი წონით	18,8	16,2	86
რძე	71,7	74,1	103
კვერცხი — მილიონი ცალი	42,8	44,8	105
მატყალი	2,1	2,3	110
ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი	82,1	93,2	114
ბოსტნეული	5,1	6,9	135
კურკოვანი ხილი	3,4	5,8	170
აბრეშუმის პარკი	2,4	2,9	124
დაფნის ფოთოლი	1,2	1,3	108

1961 წლის პირველ ნახევართან შედარებით დამზადებულია ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი 11,1 ათასი ტონით მეტი, ბოსტნეული — 1,8 ათასი ტონით, კურკოვანი ხილი — 2,4 ათასი ტონით მეტი, ხორცი დამზადებულია უფრო ნაკლები, ვიდრე 1961 წლის პირველ ნახევარში. გადაჭარბებით შესრულებულია სახელმწიფოსათვის ხორცისა და მატყლის მიყიდვის წლის პირველი ნახევრის გეგმა, არ შესრულებულა სახელმწიფოსათვის რძის და კვერცხის მიყიდვის გეგმა.

III. კაპიტალური მშენებლობა

1962 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ამუშავებულია მთელი რიგი ახალი საწარმოო სიმძლავრენი.

სრული სიმძლავრით ამუშავდა თბილისის ახალი აბრეშუმსაქსოვი ქარხანა ფაბრიკა, რომელშიც დადგმულია 276 საქსოვი დაზგა. გორის ბამბეულის კომბინატში დამატებით დადგმულია 34 ათასი სართავი თითსტარი.

კვების მრეწველობის საწარმოებში სიმძლავრენი გადიდდა 2 მილიონი პირობითი ქილა ბოსტნეულისა და ხილის კონსერვით.

ამუშავდა 36 კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზები.

სარწყავი მიწების ფართობი გადიდდა 949 ჰექტარით და გაწყლიერებული სამოვრებისა — 7 ათასი ჰექტარით.

საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა ბოსლების, საღორეების, ფარეხებისა და საფრინველეების ტევადობა.

ამავე დროს 1962 წლის პირველ ნახევარში არ ამუშავებულა წლის პირველი ნახევრის გეგმით გათვალისწინებული კაპროლაქტამის, მინერალური აზოტოვანი სასუქების, პრეციზიული დაზგების საწარმოო სიმძლავრენი და ზოგიერთი საწარმოო სიმძლავრენი კვების მრეწველობაში.

წლის პირველ ნახევარში მთლიანად რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაცემულია 149 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. საექსპლოატაციოდ გადაცემულია 4 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა 2.200 მოსწავლისათვის, მათ შორის 3 სკოლა-ინტერნატი 1.320 მოსწავლისათვის, საავადყოფოები და პოლიკლინიკები 90 საწოლით.

მთლიანად რესპუბლიკაში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ნარჯზე საექსპლოატაციოდ გადაცემული ძირითადი ფონდების საერთო მოცულობა საწარმოო დანიშნულების ობიექტების მიხედვით შეადგენს 39 მილიონ მანეთს, ე. ი. 15 პროცენტით მეტია, ვიდრე 1961 წლის პირველ ნახევარში.

წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული სახსრებით შესრულებულ კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობამ მთლიანად რესპუბლიკაში შეადგინა 152 მილიონი მანეთი და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 20 პროცენტით; სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობამ შეადგინა 100 მილიონი მანეთი, ანუ 16 პროცენტით მეტი, ვიდრე 1961 წლის პირველ ნახევარში.

მაგრამ, კაპიტალურ დაბანდებათა სახელმწიფო გეგმა, დაწესებული 1962 წლის პირველი ნახევრისათვის, მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 85 პროცენტით, აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა — 94 პროცენტით.

მთლიანად რესპუბლიკაში კაპიტალურ დაბანდებათა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სანიბაო მშენებლობის სახელმწიფო გეგმა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი, სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივმა სამმართველოებმა და ტრესტებმა, აგრეთვე სამინისტროებმა და უწყებებმა შემდეგნაირად შეასრულეს:

1962 წლის I ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი	კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა	აქედან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	სანიბაო მშენებლობა
სულ რესპუბლიკაში	85	94	90
რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციები	85	95	87
სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციები	81	95	85
აქედან:			
მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო	83	99	90
მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველო	77	92	103
ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის სამმართველო	79	85	99,1
ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველო	85	148	55
საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო	72	92	117
სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო	96	115	7
საფეიქრო მრეწველობის სამმართველო	74	105	107
მსუბუქი მრეწველობის სამმართველო	68	72	26
ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი	73	81	63
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი	99,5	117	83
ახალციხის ქვანახშირის მაღაროთსამმართველო	88	58	—
საქართველოს შახტების მშენებლობის ტრესტი	100,2	119	77
საქართველოს ნავთობის ტრესტი	106	58	86
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი	88	76	104
საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტი	71	83	86
საქართველოს ჩაის ტრესტი	95	113	—
სამტრესტი	100,1	109	—
საქართველოს პურისა და საკონდიტრო ნაწარმის ტრესტი	63	66	—
საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტი	64	72	55
საქართველოს კონსერვტრესტი	108	107	—
საქართველოს თამბაქოს ტრესტი	82	73	—
საქართველოს მცენარეული და ცხიმეულეთეროვანთა მრეწველობის ტრესტი	78	109	—
საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტი	87	108	57
საქართველოს ტორფის მრეწველობის ტრესტი	37	—	—
რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ორგანიზაციები	90	96	87
სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო	85	80	114
წყალთა მეურნეობის სამინისტრო	99	105	77
მშენებლობის სამინისტრო	68	109	90
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	128	127	—
კავშირგაბმულობის სამინისტრო	111	122	—
ვაჭრობის სამინისტრო	100,0	99,3	—
განათლების სამინისტრო	87	98	85
კულტურის სამინისტრო	68	71	46
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	70	77	13
გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“	93	89	—
გზატკეცილების მთავარი სამმართველო	94	64	55
საქართველოს პროფსაბჭოს კურორტების სამმართველო	87	113	—
მეცნიერებათა აკადემია	87	103	78
ადგილობრივი საბჭოები	88	92	88

სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში, გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით, კაპიტალური დაბანდებები გაიზარდა: ქიმიურ მრეწველობაში — 44 პროცენტით, ნავთობის მრეწველობაში — 36 პროცენტით, ფერად მეტალურგიაში — 43 პროცენტით, ელექტროსადგურებში, ელექტროქსელებსა და თბოქსელებში — 27 პროცენტით, სატყეო, ქაღალდისა და ხისდასამუშავებელ მრეწველობაში — 50 პროცენტით, კვების მრეწველობაში — 85 პროცენტით, თევზის მრეწველობაში — 40 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 52 პროცენტით, ტრანსპორტში — 34 პროცენტით, კავშირგაბმულობაში — 28 პროცენტით, ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში — 18 პროცენტით.

რესპუბლიკის მოჯარე ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 7 პროცენტით.

მოიჯარე სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციებმა მთლიანად რესპუბლიკაში 1962 წლის პირველი ნახევრის გეგმა საკუთარი ძალებით შეასრულეს 97 პროცენტით, აქედან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოიჯარე ორგანიზაციებმა — 97 პროცენტით, სახალხო მეურნეობის საბჭოს მოიჯარე ორგანიზაციებმა — 103 პროცენტით, მშენებლობის სამინისტროსი — 94 პროცენტით, წყალთა მეურნეობის სამინისტროსი — 95 პროცენტით, გაერთიანება „საქსოფლტექნიკისა“ — 99 პროცენტით, მთავართბილისმშენმა — 102 პროცენტით, თბილისის საქალაქო საბჭოს ტრესტმა „ინკამშენმა“ — 97 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით 6 პროცენტით გაიზარდა. მაგრამ ბევრმა სამშენებლო ორგანიზაციამ ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა და სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალება. ამავე დროს მშენებლობებზე არსებულ მანქანებსა და მექანიზმებს მთელი სიმძლავრით ვერ იყენებენ, რის გამოც ზოგიერთ შრომატევად სამუშაოს ხელით ასრულებენ.

IV. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ამერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) დატვირთვის ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 102 პროცენტით, მათ შორის ქვანახშირისა — 104 პროცენტით, შავი ლითონებისა — 109 პროცენტით, ყოველგვარი მადნისა — 101 პროცენტით, ხე-ტყისა — 126 პროცენტით.

საშუალო სადღეღამისო დატვირთვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, მაგრამ საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვის გეგმა არ შესრულებულა.

1961 წლის პირველ ნახევართან შედარებით საშუალო სადღეღამისო დატვირთვა გაიზარდა 12 პროცენტით, საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვა — 11 პროცენტით.

ერთ ტექნიკურ სადგურზე ვაგონის დგომის საშუალო დროის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია. არ შესრულებულა ერთ სატვირთო ოპერაციაზე ვაგონის დგომის გეგმა, აგრეთვე სატვირთო მატარებლის საშუალო სიჩქარისა და სატვირთო ვაგონის ბრუნვის საშუალო დროის გეგმა.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა 1962 წლის პირველ ნახევარში გადაზიდა 26 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთი, ამასთან შესრულებულია 308 მილიონზე მეტი ტონა-კილომეტრი. ტვირთის გადაზიდვის ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ ტვირთბრუნვის გეგმა არ შესრულებულა.

1961 წლის პირველ ნახევართან შედარებით ტვირთის გადაზიდვა გაიზარდა 4 პროცენტით, მაგრამ ტვირთბრუნვა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რამდენადმე შემცირდა.

1962 წლის პირველ ნახევარში [illegible] ტრანსპორტის საერთო სამინისტროს ავტობუსებით გადაყვანილია 123 მილიონი მგზავრი, მგზავრბრუნვამ შეადგინა 796 მილიონი [illegible] კილომეტრი. მგზავრთა გადაყვანის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. 1961 წლის [illegible] მის პერიოდთან შედარებით მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 14 პროცენტით, მგზავრბრუნვა — 21 პროცენტით.

სატვირთო ტაქსომოტორების გამოყენების ნახევარი წლის გეგმა 132 პროცენტით შესრულდა, მსუბუქი ტაქსომოტორებისა — 112 პროცენტით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ კაპიტალური და საშუალო შეკეთების ნახევარი წლის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში (ადგილობრივი გზების გამოკლებით) შეასრულა 104 პროცენტით, მათ შორის რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზე — 108 პროცენტით.

1962 წლის პირველ ნახევარში შეკეთებულია 10 პროცენტით მეტი საავტომობილო გზები, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

1962 წლის პირველ ნახევარში კავშირგაბმულობის საწარმოთა ქსელი გაიზარდა. გაიხსნა კავშირგაბმულობის 26 ახალი განყოფილება, მათგან 15 განყოფილება — სოფლად. გაიზარდა აგრეთვე „სოიუზპეჩატის“ კიოსკების ქსელი.

საქალაქო ტელეფონის სადგურების სიმძლავრე გადიდდა 700 ნომრით.

საექსპლოატაციოდ გადაცემულია ავტომატური სატელეფონო სადგური ქალაქ სამტრედიაში. შიდარაიონული სატელეფონო კავშირგაბმულობის ავტომატური სადგურების სიმძლავრე გაიზარდა 60 ნომრით.

V. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და მათი ცხოვრების კულტურული დონის ამაღლება

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 55 ათასით, ანუ 5 პროცენტით.

სახელმწიფოო და კოოპერაციული ვაჭრობის (გარდა სამომხმარებლო კოოპერაციის სასურსათო საქონლის საკმისიო ვაჭრობისა) საცალო საქონელბრუნვის მოცულობამ ნახევარ წელიწადში შეადგინა 612,8 მილიონი მანეთი, სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვამ, რომელიც ახორციელებს ვაჭრობას სოფლად, — 179,3 მილიონი მანეთი.

1961 წლის პირველ ნახევართან შედარებით სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა გადიდდა, შესადარ ფასებში, 9,2 პროცენტით, აქედან საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა — 9,9 პროცენტით; სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვა ამავე პერიოდში გადიდდა 16 პროცენტით.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, აქედან საცალო ვაჭრობისა — 101 პროცენტით, საზოგადოებრივი კვებისა — 106 პროცენტით.

სახელმწიფო ვაჭრობამ საცალო საქონელბრუნვის ნახევარი წლის გეგმა შეასრულა 101 პროცენტით. სამომხმარებლო კოოპერაციამ — 103 პროცენტით.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებმა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ნახევარი წლის გეგმა 104 პროცენტით შეასრულეს, აჭარის ასს რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებმა — 101 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სავაჭრო ორგანიზაციებმა — 106 პროცენტით და ქალაქ თბილისის სავაჭრო ორგანიზაციებმა — 99,4 პროცენტით.

სამომხმარებლო კოოპერაციის საკმისიო ვაჭრობის მეშვეობით მოსახლეობას მიეყიდა 11 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი.

ცალკეულ სახეობათა სა

ახალი, სასარგებლო საქმე

საქართველოში შეიქმნება ფეხსაცმლისა და ხილდასამუშავებელი მრეწველობის

საბჭოთა ფირმები

ცხოვრება, ჩვენი ყოველი დღე განუწყვეტლივ მიიწევს წინ, ეუფლება ახალ ჰორიზონტებს და სინამდვილედ აქცევს ჯერ კიდევ გუშინდელ ჩანაფიქრს და, თუ გნებავთ, უფრო ადრინდელ, ყველაზე გაბედულ ფანტაზიებსაც კი, ამ მუდმივ მოძრაობასა და განვითარებას კორეტტივები შეაქვს წინასწარდასახულობებში, აყენებს ახალ საკითხებს და თანმიმდევრულად სრულყოფს ხელმძღვანელობის ფორმებს.

ავიღოთ თუნდაც ჩვენი სახალხო მეურნეობა, კერძოდ მრეწველობა. ოროოდე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რესპუბლიკაში სარეწაო კოოპერაციის საწარმოები გადაეცა სახალხო მეურნეობის საბჭოსა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემას. განხორციელდა წვრილი, დაქაქსული ფაბრიკა-ქარხნების გამსხვილება და სპეციალიზაცია. მოიწყო მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოების თავმოყრა სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში. ამ ღონისძიების განხორციელებით გატარების სარგებლიანობა ახლა აშკარაა.

უკანასკნელ წლებში კვების მრეწველობის ზოგიერთ საწარმოს მმართველობაში სტრუქტურული სიახლეც იქნა შეტანილი. მაგალითად, სამტრესტის პირველად მეღვინეობის ქარხნების ჯგუფი მთელ რიგ რაიონებში სტრუქტურულად გაერთიანდა, ყველაზე ძლიერი საწარმოს ბაზაზე შეიქმნა ქარხანათა მმართველობა, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მასში შემავალ საწარმოებს. ამ ღონისძიების განხორციელებით ამაღლდა ხელმძღვანელობის დონე და როლი. სამტრესტში ამჟამად 14 ასეთი ქარხანათმმართველობაა, რომელშიც გაერთიანებულია პირველადი მეღვინეობის 65 ქარხანა. მსგავსი ცვლილებები განხორციელდა პურის საცხობ და ხორცისა და რძის მრეწველობის მმართველობაშიც.

ამ ბოლო ხანებში ფართო გამოხმაურება ჰპოვა წარმოების მმართველობის ახალი სტრუქტურის შემოღებამ ლვოვის სახალხო მეურნეობის საბჭოს ფეხსაცმლისა და ტყავდამამუშავებელი საწარმოების ბაზაზე შეიქმნა პირველი საბჭოთა ფირმები „პროგრესი“ და „განთიადი“.

ამ ფირმების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მონათესავე ფაბრიკა-ქარხნების ჯგუფიდან ყველაზე სრულყოფილის ბაზაზე იქმნება ე. წ. სათავო საწარმო, სადაც დანარჩენი საწარმოებიდან თავს იყრის ტექნიკური და დამხმარე სამსახური, იქმნება ძლიერი საკონსტრუქტორო ბიურო, სრულყოფილი საექსპერიმენტო ბაზა, სპორმლემო ლაბორატორია და სხვ. ისე რომ ამჟერად ტექნიკურად კარგად აღჭურვილი საწარმოს ბაზაზე შექმნილი მმართველობის ძლიერი აპარატი თვით ამ საწარმოსთან ერთად ხელმძღვანელობას უწევს გაერთიანებაში შემავალ ყველა ფაბრიკას, ანუ, როგორც მას ახლა უწოდებენ — ყველა ფილიალს. ცხადია, რომ ამით ხელმძღვანელობა უახლოვდება წარმოებას, იგი უფრო კონკრეტული და მოქნილი ხდება. იქმნება უკეთესი პირობები წარმოების სპეციალიზაციისათვის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებისათვის.

ჩვენი სპეციალისტები ადგილზე გაეცნენ აღნიშნული ფირმების მუშაობას. მათი აზრით, წარმოების მართვის ასეთი სტრუქტურა საყურადღებო და ყოველმხრივი მხარდაჭერის ღირსია. ამასვე ადასტურებს პირველადი მეღვინეობის ქარხნების გაერთიანების ჩვენი პრაქტიკა, რომელიც ზემოთ აღნიშნული ფირმების მცირე მასშტაბის თავისებურ ანალოგიას წარმოადგენს.

და, რადგანაც საბჭოთა ფირმები, საწარმოთა ეს ახლებური გაერთიანებანი ყურადღებას იპყრობენ თავიანთი პროგრესულობით, ბუნებრივია, იბადება კითხვა ჩვენს რესპუბლიკაშიც მათი გავრცელების შესაძლებლობის შესახებ.

როგორც მოსალოდნელი იყო, სპეციალური კომისია, რომელიც ამ საკითხების შესამუშავებლად იყო გამოყოფილი, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პირველი საბჭოთა ფირმების მსგავსად, საწარმოო გაერთიანებანი ჩვენშიც წარმატებით შეიძლება მოქმედებდნენ.

ავიღოთ თუნდაც ფეხსაცმლის კერვა. რუსპუბლიკის ხუთი საწარმოდან სამი თბილისშია მოთავსებული. რესპუბლიკაში გამოშვებული ფეხსაცმლის საერთო რაოდენობიდან 70 პროცენტი თბილისს ფაბრიკებზე მოდის. და ეს საწარმოები სპეციალიზირებული არ არიან. თვითეული მათგანი აწარმოებს ფეხსაცმლის სახეობის და საპირის გამოჭრას, თითქმის ყოველი მათგანი უშვებს ბავშვის ფეხსაცმლის ასორტიმენტს.

ფაბრიკები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ტექნიკური აღჭურვილობითაც. თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკა, რომელიც რესპუბლიკაში შეკერილი ფეხსაცმლის 56 პროცენტს იძლევა, ტექნიკურად კარგად არის შეიარაღებული, განხორციელებულია მთელი წარმოების სრული, კონვეიერიზაცია. აქ შექმნილია კარგად მოწყობილი მექანიკური საამქრო, საკონსტრუქტორო ბიურო თავისი საექსპერიმენტო ბაზით, ტექნოლოგიური განყოფილება, ტექნოლოგიური და ქიმიური ლაბორატორიები და სხვა საინჟინრო-ტექნიკური და დამხმარე სამსახურები. ერთი სიტყვით, თავისი აღჭურვილობითა და ტექნიკური სამსახურის მეშვეობით ფაბრიკას ტექნიკური პროგრესის ბევრი საკითხის გადაჭრა შეუძლია. და თუ დღეს ამ ფაბრიკის მიმართ ჩვენს მომხმარებელს სამართლიანი პრეტენზიები აქვს, ეს არსებული საშუალებების ჯერ კიდევ არასრულად გამოყენებით უნდა ავხსნათ.

ჩვენი რესპუბლიკის ფეხსაცმლის სხვა ფაბრიკები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ამ საწარმოს ტექნიკურ აღჭურვილობას, რის შედეგადაც ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებიც დაბალი აქვთ. მაგალითად, თბილისის ფეხსაცმლის შეორე ფაბრიკაში ერთ მუშაზე ფეხსაცმლის გამოშვება 25 პროცენტით უფრო ნაკლებია, ვიდრე პირველ ფაბრიკაში.

თუ აღნიშნულ მოტივებს ახალი თვალთახედვით განვიხილავთ, ბუნებრივია, დავეთანხმებით სპეციალური კომისიის დასკვნას, რომლის აზრითაც სავსებით

საქართველოში შეიქმნება ფეხსაცმლისა და ხილდასამუშავებელი მრეწველობის

საბჭოთა ფირმები

მიზანშეწონილია შეიქმნას თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკების გაერთიანება, რომლის სათავო წარმოებაც პირველი ფაბრიკა იქნება. ამ გაერთიანების მუშაობის პირველი შედეგების ანალიზის შემდეგ კი შეიძლება დაისვას საკითხი მისი საზღვრების გაფართოების შესახებ.

რას მოგვცემს ახალი საწარმოო გაერთიანების ან, როგორც მას უწოდებენ, საბჭოთა ფირმის შექმნა? განვიხილოთ თუნდაც საკითხის ტექნიკურ-ეკონომიური მხარე. თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის სატვიფრე საამქროში მასალებისა და ნახევარფაბრიკატების ტრანსპორტირებაზე განხორციელებულია სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია, ახლანდელი სიმძლავრე საამქროს საშუალებას აძლევს დაკმაყოფილოს რესპუბლიკის ფეხსაცმლის მრეწველობის მთელი მოთხოვნილება ფეხსაცმლის საძირე დეტალებზე. რაც შეეხება საგამომშრეტელო საამქროს, მას ახლავე შეუძლია უზრუნველყოს თბილისის ფეხსაცმლის ყველა ფაბრიკა მზა საპირე მასალით, ხოლო ზოგიერთი დამატებითი სამუშაოს ჩატარების შემდეგ იგი დაკმაყოფილებს რესპუბლიკის დანარჩენი საწარმოების მთლიან მოთხოვნილებას.

როგორც ვხედავთ, ასეთ პირობებში სავსებით შესაძლებელია ფეხსაცმლის საპირისა და საძირის გამოჭრის თავმოყრა სათავო — თბილისის ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში. ამის შედეგად, დანარჩენ საწარმოებში გათავისუფლდება საწარმოო ფართობები, რაც თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ დამატებითი პროდუქციის საწარმოებლად. იმავე მიზნისთვის შეიძლება გავითვალისწინოთ

ბროშურად გამოვიდა

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პარიზი. (საკდესი). პარიზის გამომცემლობა „ეტიუდ სოციეტიკეა“ დიდი ტირაჟით ბროშურად გამოუშვა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე. ბროშურა კარგად არის ილუსტრირებული. მას ხვალ მიიღებენ საფრანგეთის დედაქალაქის წიგნის მაღაზიები და საგაზეთო კიოსკები.

მჯიცე ღონისძიება მშვიდობის დასაცავად

ბუდაპეშტი, 22 ივლისი (საკდესი). უნგრეთის ყველა გაზეთმა პირველ გვერდებზე გამოაქვეყნა საბჭოთა მთავრობის განცხადება საბჭოთა კავშირში უახლეს სახეობათა ატომური იარაღის გამოცდების მომავალი მოწყობის შესახებ. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს ღონისძიება იძულებითია და რომ საბჭოთა კავშირი კვლავინდებურად მოითხოვს ატომური იარაღის გამოცდის სრულ შეწყვეტას.

სოფია, 22 ივლისი (საკდესი). ბულგარელი ხალხი მოწონებით შეხვდა საბჭოთა მთავრობის განცხადებას. გაზეთებმა ეს განცხადება გამოაქვეყნეს დიდი სათაურით: „თავისი თავდაცვისა და მშვიდობის ინტერესებისათვის სსრ კავშირი იძულებულია განახორციელოს ატომური იარაღის გამოცდა“, —სსრ კავშირი იძულებულია მიიღოს თავდაცვითი ღონისძიებანი“, „საბჭოთა კავშირი იძულებულია განაახლოს ატომური იარაღის გამოცდა“, „აუცილებელი ნაბიჯი უშიშროებისა და მშვიდობის ინტერესებისათვის“, „მტკიცე ღონისძიება მშვიდობის დასაცავად“.

ბერლინი, 22 ივლისი. (საკდესი). „მშვიდობის ინტერესები მოითხოვს საბჭოთა იარაღის ახალი გამოცდების მოწყობას“ — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა დღეს გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდშა“ საბჭოთა მთავრობის განცხადების სრული ტექსტი. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილება უახლესი ნიმუშების საბჭოთა ატომური იარაღის გამოცდის მოწყობის შესახებ იძულებითი ნაბიჯია, რაც ხორციელდება ატომური იარაღის იმ გამოცდების საპასუხოდ, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ჯერ კიდევ 1962 წლის მარტში გააფრთხილა ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კენედი.

„ნოიეს დოიჩლანდი“ განსაკუთრებით გამოჰყოფს საბჭოთა მთავრობის მოწოდებას დასავლეთის სახელმწიფოებისადმი ყურად იღონ ხალხების მოთხოვნები და მოსპონ ხელოვნური დაბრკოლებანი ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევის გზაზე.

პარიზი, 22 ივლისი (საკდესი). საბჭოთა მთავრობის განცხადებას იმის შესახებ, რომ ამერიკულ ატომურ აფეთქებათა პასუხად სსრ კავშირში განხორციელდება უახლეს ნიმუშთა ატომური იარაღის გამოცდა, საფრანგეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობა შეხვდა როგორც გაფრთხილებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხედრო ავანტიურებისა და ატომური აგრესიის მოყვარულთა მიმართ.

გაზეთი „ლუმანიტე-დიმანშში“ აღნიშნავს დღეს, რომ საბჭოთა კავშირს არაერთხელ გაუფრთხილებია ამერიკის მხედრიონი, რომ თუ იგი არ იტყვის უარს ატომურ აფეთქებათა მოწყობის თაობის დანაშაულებრივ გეგმებზე, მაშინ იძულებული იქნება თავისი უშიშროების ინტერესებისათვის მიიღოს შესაბამისი ღონისძიებანი. შეერთებული შტატების მთავრობამ, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ყურად არ იღო ეს გაფრთხილება. მან არა თუ აააფეთქა წყალბადის ბომბი დიდ სიმაღლეზე, არამედ ოფიციალურადაც კი გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს კვლავ მოაწყოს ასეთივე გამოცდები. ვაშინგტონის მისწრაფება განაგრძოს და კიდევ უფრო გააქტიუროს „ძალის პოზიციის“ თანაც პოლიტიკა ცხადია, აღნიშნავს გაზეთი. ყველა ხედავს, რომ საბჭოთა კავშირი, რომელიც კვლავ თავაზობს შეერთებულ შტატებს დადონ შეთანხმება ატომურ აფეთქებათა სამუდამოდ შეწყვეტის შესახებ, ერთგული რჩება თავისი განუწყვეტელი მეცადინეობისა დაიცვას და განამტკიცოს მშვიდობა.



სხვა ქვეყნებისადმი ამერიკის ყბადაღებული „დახმარების“ გამო.
ნახ. კ. ელისეევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

მეგობრობის მონუმენტი

ჯაკარტა, 22 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ბ. ივანოვი და ლ. ეგოროვი იუწყებიან: ვეებერთელა მთავარი სასპორტო არენა, რომელიც 100 ათასზე მეტ კაცს იტევს, გუშინ პირველად აივსო ხალხით. აქ გაიმართა საბჭოთა პროფესიონალთა და საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით აშენებული სასპორტო ნაგებობათა დიდებული კომპლექსის გახსნისა და აზიის მეოთხე ასპარეზობის დაწყების საზეიმო ცერემონია. ცერემონიას დაესწრნენ ინდონეზიის პრეზიდენტი სუკარნო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, რომელიც ინდონეზიაში ჩამოვიდა ვიზიტად პრეზიდენტის მოწვევით.

ინდონეზიის საზოგადოებრივ სამუშაოთა და ენერგეტიკის მინისტრის სუპარგოს შემდეგ, რომელმაც ილაპარაკა ჯაკარტის ახალი სტადიონის ტექნიკური მონაცემების, საბჭოთა კავშირის დიდი დახმარების შესახებ, სიტყვა წარმოთქვა ა. ი. მიკოიანმა, რომელსაც შეკრებილნი მხურვალედ შეხვდნენ.

საბჭოთა ხალხის, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ამხანაგ ხრუშჩოვისა და ამხანაგ ბრეჟნევის სახელით ა. ი. მიკოიანმა მხურვალედ მიულოცა დამსწრეთ შესანიშნავი ნაგებობის გახსნა და თქვა, რომ ჯაკარტაში პირველხარისხოვანი სტადიონის შექმნას, სადაც უახლოეს დროში სპორტულ ასპარეზობაზე შეიკრიბებიან აზიის ქვეყნების ქალაშვილები და ჭაბუკები, საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება მთელი აზიისათვის.

შემდეგ სუკარნო შეეხო ინდონეზიელი ხალხის ბრძოლას თავისი სამშობლოს განმტკიცებისა და განვითარებისათვის, იმას, რომ საჭიროა შემდგომ განმტკიცდეს ხალხის ერთობა იმ ამოცანათა შესრულებისათვის, რომლებიც დასახული აქვს ინდონეზიას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთ ირიანი აუცილებლად განთავისუფლდება კოლონიზატორებისაგან მომდინარე წელს. შეკრებილთა ტაშის გრიალში სუკარნომ გამოთქვა რწმენა, რომ მშვიდობის პროგრესული ძალები საბოლოოდ დაამარცხებენ დრომოჭმულ მომაკვდავ ძალებს და დედამიწაზე გამეფდება მშვიდობა. ცერემონიის დასრულს გაიმართა სპორტსმენთა პარადი და მსობრივი გამოსვლები.

ბანდუნგი, 23 ივლისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, რომელიც ინდონეზიაში კეთილი ნების ვიზიტად იმყოფება, განაგრძობს ამ ქვეყნის გაცნობას.

გუშინ დილით ა. ი. მიკოიანი მინისტრ პრიიონოს და საბჭოთა ელჩის ნ. ა. მიხაილოვის თანხლებით გაფრინდა ქალაქ ჯოკიაკარტაში.

აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ალმებით, ა. ი. მიკოიანს შეხვდნენ ცენტრალური იავის გუბერნატორის მოადგილე სუიონოატმო, მე-7 სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი პანუძუ და სხვა ოფიციალური პირები. საბჭოთა სტუმრებმა დაათვალიერეს ჯოკიაკარტა. ხანმოკლე შესვენების შემდეგ ა. ი. მიკოიანი ბანდუნგს გაფრინდა.

ბანდუნგის აეროდრომზე საბჭოთა სტუმარს შეხვდნენ დასავლეთ იავის გუბერნატორი მაშუდი, ბანდუნგის მერი ს. კუსუმა, ქალაქის მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირნი, სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლები. ეროვნულ კოსტუმებში ჩამოწყობილმა ქალაშვილებმა ყვავილების გვირგვინი ჩამოკიდეს ა. ი. მიკოიანს. შეასრულეს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ჰიმნები. ა. ი. მიკოიანმა ჩამოუარა საპატიო ყარაულს მწყობრს. ამის შემდეგ საბჭოთა სტუმრები წავიდნენ დასავლეთ იავის პროვინციის გუბერნატორის რეზიდენციაში.

საღამოს საპატიო საბჭოთა სტუმრის პატივსაცემად ბანდუნგის ხელისუფლებამ და დასავლეთ იავის გუბერნატორმა დრბაზობა მოაწყეს.

გვირაბი მონგლანის ქვეშ

ჟენევა, 21 ივლისი. (საკდესი). მთავრდება მსოფლიოში ყველაზე გრძელი—მონბლანის საგზაო გვირაბის მშენებლობა. გვირაბის გაყვანა იტალიის მხრიდან დაიწყო 1959 წლის იანვარში, ხოლო საფრანგეთისა — იმავე წლის სექტემბერში. მშენებლობის საინფორმაციო ცენტრმა გამოაცხადა, რომ იტალიელ და ფრანგ სამთოელებს, რომლებსაც გასასვლელი გაჰყავთ ალპიური გიგანტის სიგრძეში, აშორებთ ნახევარ კილომეტრზე ნაკლები მანძილი. ორივე მხრიდან გაკვლილია უკვე ხუთნახევარ-ხუთნახევარი კილომეტრზე მეტი. გვირაბის საერთო სიგრძე 11,6 კილომეტრია.

გვირაბის გაყვანის შემდეგ კიდევ ერთი წელი იქნება საჭირო, რათა დამთავრდეს გვირაბის მოპირკეთებისა და მოწყობის, აგრეთვე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამუშაოები. ამ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ გვირაბი საექსპლოატაციოდ გადაეცემა.

კიბო დამარცხებულ იქნება

კეთილშობილურმა მიზანმა მოიყვანა მოსკოვში ყველა კონტინენტის მედიკები — მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური პროფესიის წარმომადგენლები. ეს მიზანია ადამიანის კეთილდღეობა და ჯანმრთელობა, მისი ხსნა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე სნეულების — კიბოს დაავადებებისაგან.

კიბოს საწინააღმდეგო VIII საერთაშორისო კონგრესზე ჩამოვიდნენ დელეგატები 70 ქვეყნიდან. კონგრესის ხუთმა ათასმა მონაწილემ შეავსო 22 ივლისს კრემლის ყრილობათა სასახლის დარბაზი.

კიბოს საწინააღმდეგო საერთაშორისო კონგრესი განიხილავს 800 მოხსენებას, რომლებიც ეხება ავთვისებიან სიმსივნეთა წარმოშობის, განვითარების, პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პრობლემებს.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო მედიცინის, არამედ ცოდნის სხვა დარგების — ბიოლოგიის, ფიზიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის წარმომადგენლები.

პირველი პლენარული სხდომა გახსნა კიბოს საწინააღმდეგო საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა პროფესორმა ვეხსან ქხანოლკარმა (ინდოეთი). მან წაუდგინა დამსწრეთ კიბოს საწინააღმდეგო VIII საერთაშორისო კონგრესის პრეზიდენტი გამოჩენილი საბჭოთა ონკოლოგი პროფესორი ნ. ნ. ბლოხინი.

დიდი ყურადღებით იყო მოსმენილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კ. ნ. რუდნევის სიტყვა.

საბჭოთა მთავრობა, თქვა კ. ნ. რუდნევმა, კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ კიბოს საწინააღმდეგო VIII საერთაშორისო კონგრესი — ეს უდიდესი საერთაშორისო ფორუმი — შეიკრიბა საბჭოთა კავშირში, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში.

საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს კიბოს პრობლემის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაფართოებასა და გაღრმავებას. წლითიწლობით იზრდება ასიგნებანი და სხვა მატერიალური ხარჯები ამ მიზნისათვის. ჩვენს ქვეყანაში იქმნება და მწყობრში დგება ახალი დიდი სამეცნიერო-საკვლევი ონკოლოგიური ცენტრები. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია გავაფართოოთ და განვამტკიცოთ მეცნიერული კავშირი საზოვარგარეთის მეცნიერებთან თანამედროვეობის კარდინალური პრობლემების გადასაწყვეტად, ადამიანთა კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის დავალებით კ. ნ. რუდნევმა გამოაქვეყნა ტექსტი მისი მისასალმებელი წერილისა კონგრესის მონაწილეებისადმი.

მისალმების სიტყვებს მთელი დარბაზი ერთსულოვანი ტაშით შეხვდა.

შემდეგ სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ს. ვ. კურაშოვს.

კიბოს საწინააღმდეგო VIII საერთაშორისო კონგრესი. თქვა მან, არის მოვლენა, რომელიც მიიპყრობს არა მარტო ექიმების, არამედ ყველა ქვეყნის ხალხთა ყურადღებას.

საბჭოთა კავშირი გამოვიდა კიბოს პრობლემის შესწავლისათვის კოლექტიური მეცადინეობის ინიციატორად. ჩვენი ქვეყნის მთავრობის წინადადებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის XIV ასამბლეამ გადაწყვეტილება მიიღო კიბოს პრობლემის დარგში თვალსაჩინო სამეცნიერო გამოკვლევისათვის პრემიის დაწესების შესახებ.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის წინადადებით ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის XV ასამბლეამ მომდინარე წლის მაისში ამ ჯილდოს ღირსად ცნო გამოჩენილი მეცნიერები, რომლებიც ამ კონგრესის მონაწილენი არიან.

საბჭოთა კავშირს ორმხრივი შეთანხმება აქვს მთელ რიგ ქვეყნებთან კიბოს პრობლემის ერთობლივი დამუშავების დარგში. ამ მუშაობის, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მუშაობის გამოცდილებამ კიდევ ერთხელ ცხადყო ამ ფორმის თანამშრომლობის დიდი შესაძლებლობანი.

მათ, ვინც ამ დარბაზში იმყოფება, ამბობს ს. ვ. კურაშოვი, უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმემ იცოდნ, რომ ჯანმრთელობა და მშვიდობა განუყოფელია. მეცნიერების წარმომადგენელთა სინდისი და გონება ვერ შეურიგდება მთელი კაცობრობის ჯანმრთელობისათვის ყველაზე საშიშ საფრთხეს — თერმოატომურ ომს.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის მედიკების ხმა ყველაზე უფრო ძლიერი უნდა იყოს, რადგან მედიკებს უკეთ, ვიდრე სხვას ვისმე ესმით ომის, მით უმეტეს თერმოატომური ომის მთელი საშინელებანი. აი რატომ არის ბრძოლა მშვიდობისათვის, საერთაშორისო კონტროლსდაკვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის ვის დღეევანდელობის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა სახელით კონგრესის მონაწილეებს მიესალმება აკადემიის პრეზიდენტი მ. ვ. კელდიში.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ჩვენს საუკუნეში, ამბობს იგი, ყოველ ახალ წარმატებას ბუნებისმეტყველების განვითარებაში მოაქვს ადამიანთა ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესება. მეცნიერება ყოველთვის უნდა ემსახურებოდეს საზოგადოების ზოგადსაკაცობრიო მიზნებს

მოსკოვის საბჭოს აღმასკომის, ყველა მოსკოველის სახელით კიბოს საწინააღმდეგო VIII საერთაშორისო კონგრესის დელეგატებსა და სტუმრებს ულოცავდა მიესალმა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. კალაშნიკოვი.

ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავდა კიბოს საწინააღმდეგო წინა საერთაშორისო კონგრესის პრეზიდენტის სტენფორდ კეიდის წერილი, რომელიც დამსწრეთ გაეცნო პროფესორმა ა. ხედოუმ.

წერილში ნათქვამია, რომ ლონდონის კონგრესის დროიდან, რომელიც ოთხი წლის წინათ გიმართა, დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული. შეიძლება ითქვას, რომ შექმნილია ბაზა გამოკვლევათა ყველა წამყვან დარგში კიბოს პრობლემის სინთეზური გაგებისათვის.

კონგრესმა შეიძლება შეასრულოს მეტად მნიშვნელოვანი და, შესაძლოა, ისტორიული როლიც კი საერთაშორისო კავშირის ქვეყნებს შორის ნდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში.

კონგრესის პრეზიდენტმა პროფესორმა ნ. ნ. ბლოხინმა მიმართა კონგრესის მონაწილეებს და პირველი სხდომის დასასრულს სთქვა:

ჩვენ გაერთიანებული ვართ ჩვენს მისწრაფებაში მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ მეცნიერების ყველა მიღწევა გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ადამიანის საკეთილდღეოდ.

ეჭვი არ არის, რომ ყველა ქვეყნის ხალხები ყურადღებით აღეგებენ თვალყურს ჩვენს მუშაობას და ამ კონგრესზე დიდ იმედს დამყარებენ. სავსებით გვეშმის ჩვენი პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე და ფაქტია ვთქვათ, რომ მეცნიერი-ონკოლოგები ინტენსიურად მუშაობენ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, რათა მოაახლოონონ კიბოს პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა.

ეკენედი ნიშნავს გენერლებს

ნიუ-იორკი, 21 ივლისი, (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კენედიმ გენერალი ლიმენ ლემნიტცერი დანიშნა ევროპაში შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად, ნაცვლად გენერალ ნორსტედისა, რომელიც 1 ნოემბერს გადადგება, ხოლო გენერალი მაქსველ ტეილორი — ლემნიტცერის მონაცვლედ შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე.

კენედიმ გამოაცხადა აგრეთვე, რომ გენერალი ჯორჯ დეკერი გადადგება არმიის შტაბის უფროსის პოსტიდან 30 სექტემბერს მისი სამსახურის ვადის დამთავრების შემდეგ და მას შეაცვლის გენერალი ერლი უილერი.

პარიზი, 20 ივლისი. (საკდესი). ნატოს გენერალურმა მდივანმა სტიკერმა წუხელ გამოაცხადა, რომ ევროპაში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ჯარების მთავარსარდალი ამერიკელი გენერალი ნორსტედი „უახლოეს თვეებში ან ყოველ შემთხვევაში მომდინარე წლის დამლევამდე“ წავა თავისი პოსტიდან. ნორსტედს ეს პოსტი ნატოში უკავია 1956 წლიდან. თუმცა ნორსტედის გადადგომის ოფიციალური საბაბი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაა, აქ ნორსტედის წასვლას უკავშირებენ პენტაგონთან მის უთანხმოებას ნატოს დასავლეთ ევროპის დაჯგუფების ფარგლებში ატომური შეიარაღებული ძალების შექმნის საკითხზე.

ტუნისი. ბურგიბას პროსპექტი ქალაქ ტუნისში.
ფოტო ლ. ედანოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ტელეგრაფი გვატყობინებს

□ როგორც საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, შეერთებულმა შტატებმა 22 ივლისს განახორციელა ცდა ვენერას მიმართულებით გაეშვათ კოსმოსური ხომალდი „მარინერ-1“. ეს ცდა წარუმატებლად დამთავრდა. გაშვების რამდენიმე წუთის შემდეგ ხომალდი მოსპეს ჰაერში იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ასცდა დასახულ კურსს.

□ ირანის ახალმა პრემიერ-მინისტრმა აალამმა შაჰს წარუდგინა მინისტრთა კაბინეტი, რომელიც მან შექმნა.

□ ბრიტანეთის გვიანის პრემიერ-მინისტრმა ჩ. ჯაგანმა 22 ივლისს გააკეთა განცხადება, რომელშიც კვლავ გადაჭრით მოითხოვა, რომ გვიანას დაუყოვნებლივ მიენიჭოს დამოუკიდებლობა. როგორც გაზეთი „ტაიმსი“ იუწყება, ჯაგანმა გააფრთხილა ინგლისის მთავრობა, რომ ამ საკითხის გადაჭრის შემდგომ გაჭიანურებას შეუძლია ძლიერ საეჭვო გახადოს ერთა თანამეგობრობაში ბრიტანეთის გვიანის მონაწილეობის აუცილებლობა.

□ როგორც მენის სააგენტო იუწყება, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში წარმატებით განხორციელდა რაკეტა „ალ-კაჰერის“ გაშვება. რაკეტა გაშვებულია 600 კილომეტრ მანძილზე.

ადენაუერი ჩქაროობს

ბონი, 21 ივლისი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა სასწრაფოდ ამზადებს საგანგებო კანონების მიღებას დასავლეთ გერმანიაში, რომლებიც შეიმუშავა შინაგან საქმეთა მინისტრმა ხეხერლმა. როგორც დასავლეთ გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, საგანგებო კანონმდებლობის პროექტი თითქმის მთლიანად მზად არის და მიმდინარე წლის შემოდგომაზე დასამტკიცებლად უნდა გადაეცეს ბუნდესტაგს.

საგანგებო კანონმდებლობის შემოღება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იგიეკეა, რაც დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას ჩამოართვან დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა ნაშთები.

მეშვიდობის ძალების დიდი გამარჯვება

საბოლოო სხდომა ჟენევაში

ჟენევა, 21 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა ლაოსის შესახებ თათბირის საბოლოო სხდომა. სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელმაც თქვა, რომ თათბირის მონაწილეებმა გადალახეს ბევრი სიძნელე, რომელთა ნაწილი გამოიწვია იმან, რომ თათბირის წინაშე დაისვა ყურითმოთრეული და ხელოვნური საკითხები.

„მაგრამ დღეს ეს როდია უკვე მთავარი... მთავარი დღეს ის არის, რომ მოისპო ომის საშიშროების კიდევ ერთი კერა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, გადაიდგა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ რაიონის მშვიდობის განმტკიცებაში.

როგორც ცნობილია, ლაოსის კონფლიქტის წარმოშობის დასაწყისშივე საბჭოთა მთავრობამ და პირადად მისმა მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ყოველი ღონე იხმარეს ლაოსში მშვიდობის აღდგენისა და მის საშინაო საქმეებში უცხოელთა ჩარევის შეწყვეტისათვის. ლაოსელი ხალხის სამართლიან ბრძოლ

მთების განაკი



წერილი სვანეთიდან

სვანეთი. ეს კუთხე მუდამ ხიბლავდა ძველი დროის მოგზაურებსაც და ჩვენს საბჭოთა ადამიანებსაც. ჩვენც დაინტერესდით გვენახა ეს ზღაპრული მხარე.

...ჯვარში ჩვენ წინ აღიმართა სვანეთის ქედის მძლავრი განშტოებანი. კლდეების ვიწრო კალაპოტს უეცრად აღწევს თავს ლამაზი ენგური. მისი სათავეა მაღლა მთებში — შხარას შევერცხლილ მყინვარში. მდინარეს გაუკვეთია უზარმაზარი მთები და გადაუსერავს მთელი სვანეთი.

მივდივართ ენგურის გაყოლებით. აქაური გზა უნებლიეთ ათქმევინებს კაცს, ღმერთო მიშველეო. ორმოცი კილომეტრის მანძილზე, ხაიშამდე, ასობით მოსახვევია. მერე როგორი! ფრიალო კლდეებზე გზა თითქოს ებღაუჭება უღრმესი ხეობების კლდეებს, ხან მკვეთრად მიდის მაღლა ღრუბლებისკენ, ხან ეკვრის აქაფებული მდინარის ნაპირს.

აი, ბოლოს, წარმტაცი მთის სოფელი ხაიშიც, რომელიც გაწოლილია ხეობებში შფოთიანი მდინარეების ენგურისა და ხაიშურის შესართავთან. გარშემო საუკუნოვანი უღრანი ტყეებია — სვანეთის სიამაყე.

ხაიში ხე-ტყის უმდიდრეს დამზადებათა ცენტრია. ყოველ ზაფხულს ასი ათას კუბმეტრზე მეტი ხე-ტყე იგზავნება ენგურის ელესეოზა-ქალალდის კომბინატში. ნაძვისა და სოჭისაგან აკეთებენ ქალალდს, რომელიც მთელ ამერიკაკავასიაში იგზავნება.

მაგრამ ხაიში მარტო ტყით როდია მდიდარი. ომის ცოტა ხნის შემდეგ აქ აღმოაჩინეს მაღალხარისხოვანი ბარიტის უმდიდრესი საბადო. იგი აღმოაჩინა გეოლოგიურმა პარტიამ, რომელსაც სათავეში უდგას ზებედე ჩხიკვიშვილი.

საქართველო ჩვენს ქვეყანაში ბარიტის ძთავარი მიმწოდებელია. ბარიტს იყენებენ თეთრი საღებავებისა და ბარიუმის პრეპარატების მისაღებად. აგრეთვე როგორც შემსებს ქალალდისა და რეზინის მრეწველობაში. საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტი მას ბარიუმის 85 პროცენტი შემცველობის კონცენტრატის სახით აწვდის ქუთაისის ლიტოპონის ქარხანას და ლენინგრადის სახუნაგი მასალებისა და პიგმენტების ქარხანას. ორივე ეს ქარხანა მთლიანად ქართული ბარიტით მარაგდება. გარდა ამისა, კონცენტრატი მიდის რიგის, ლვოვის, სარანსკის და სმოლენსკის ოლქის მინის ქარხნებში.

ბარიტზე დიდი მოთხოვნილებაა. ტრესტი მას გზავნის ავღანეთში, სირიაში, პაკისტანსა და სხვა ქვეყნებში.

მდინარე ენგურის აუზში ცნობილია ბარიტის სხვა საბადოებიც — ურაშისა, ჯასლეთისა, ლახუნცარისა და ხუდონისა.

...ჯვარიდან ჩვენ ისევ ავმართეთ სვანეთის ქედის მძლავრი განშტოებანი. ასეულ ოცი ათასი ადამიანებსაც. ჩვენც დაინტერესდით გვენახა ეს ზღაპრული მხარე.

...ჯვარში ჩვენ წინ აღიმართა სვანეთის ქედის მძლავრი განშტოებანი. კლდეების ვიწრო კალაპოტს უეცრად აღწევს თავს ლამაზი ენგური. მისი სათავეა მაღლა მთებში — შხარას შევერცხლილ მყინვარში. მდინარეს გაუკვეთია უზარმაზარი მთები და გადაუსერავს მთელი სვანეთი.

მივდივართ ენგურის გაყოლებთან. აქაური გზა უნებლიეთ ათქმევინებს კაცს, ღმერთო მიშველეო. ორმოცი კილომეტრის მანძილზე, ხაიშამდე, ასობით მოსახვევია. მერე როგორი! ფრიალო კლდეებზე გზა თითქოს ებღაუჭება უღრმესი ხეობების კლდეებს, ხან მკვეთრად მიდის მაღლა ღრუბლებისაკენ, ხან ეკვრის აქაფებული მდინარის ნაპირს.

აი, ბოლოს, წარმტაცი მთის სოფელი ხაიშიც, რომელიც გაწოლილია ხეობებში შფოთიანი მდინარეების ენგურისა და ხაიშურის შესართავთან. გარშემო საუკუნოვანი უღრანი ტყეებია — სვანეთის სიამაყე.

ხაიში ხე-ტყის უმდიდრეს დამზადებათა ცენტრია. ყოველ ზაფხულს ასი ათას კუბმეტრზე მეტი ხე-ტყე იგზავნება ენგურის ელესეოზა-ქალალდის კომბინატში. ნაძვისა და სოჭისაგან აკეთებენ ქალალდს, რომელიც მთელ ამერიკაკავასიაში იგზავნება.

მაგრამ ხაიში მარტო ტყით როდია მდიდარი. ომის ცოტა ხნის შემდეგ აქ აღმოაჩინეს მაღალხარისხოვანი ბარიტის უმდიდრესი საბადო. იგი აღმოაჩინა გეოლოგიურმა პარტიამ, რომელსაც სათავეში უდგას ზებედე ჩხიკვიშვილი.

საქართველო ჩვენს ქვეყანაში ბარიტის ძთავარი მიმწოდებელია. ბარიტს იყენებენ თეთრი საღებავებისა და ბარიუმის პრეპარატების მისაღებად. აგრეთვე როგორც შემსებს ქალალდისა და რეზინის მრეწველობაში. საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტი მას ბარიუმის 85 პროცენტი შემცველობის კონცენტრატის სახით აწვდის ქუთაისის ლიტოპონის ქარხანას და ლენინგრადის სახუნაგი მასალებისა და პიგმენტების ქარხანას. ორივე ეს ქარხანა მთლიანად ქართული ბარიტით მარაგდება. გარდა ამისა, კონცენტრატი მიდის რიგის, ლვოვის, სარანსკის და სმოლენსკის ოლქის მინის ქარხნებში.

ბარიტზე დიდი მოთხოვნილებაა. ტრესტი მას გზავნის ავღანეთში, სირიაში, პაკისტანსა და სხვა ქვეყნებში.

მდინარე ენგურის აუზში ცნობილია ბარიტის სხვა საბადოებიც — ურაშისა, ჯასლეთისა, ლახუნცარისა და ხუდონისა.

ისე რომ ბარიტის სამადნეთა განვითარების პერსპექტივები აქ შესანიშნავია.

... განვაგრძობთ გზას. მოსახვევი მოსახვევს მოსდევს. ხან აღმართია, ხან დაღმართი. უკან მოვიტოვეთ უღრანი წიწვოვანი ტყეები, რომლებიც კედლად არიან აღმართული გზის პირად. უფრო წათელი და მხიარული გახდა ენგური. პატარა სოფელ ღიხს იქით მდინარეს გაუპია მთები და მიედინება მარმარილოს ლამაზი კალაპოტით მთელი კილომეტრის მანძილზე.

ხეობის მთელი მარცხენა მხარე მარმარილოსაგან შედგება. ჩვენ წინ მარმარილოს კარიერია. გარშემო ყრია მთიდან დაგორებული უზარმაზარი ლოდები. აქვე მარმარილოს ყორეს და ნამეცის ზვინებია.

ღიხში გამოირჩევა დეკორაციული მარმარილოს ორი სახეობა: ვრცხი, ზოლოვანი, და ბაცი-ნაცრისფერი, მსხვილმარცვლოვანი, რომელიც ბუდობის ცენტრალურ ნაწილში გვხვდება. საბადოს დაზვერილი მარაგი ძალიან მნიშვნელოვანია — ექვსასი ათასამდე კუბური მეტრი.

კარიერი თხუთმეტ წელიწადზე მეტია მუშაობს. მოპოვება თანდათან იზრდება. მაგრამ კარიერის დამუშავება შეიძლება გადიდებულ იქნას რამდენჯერმე.

ამჟამად ინსტიტუტმა „საქსახპროექტმა“ შეადგინა დიზის კარიერის გაფართოების პროექტი. კარიერის სიმძლავრე გადიდდება — იგი წელიწადში მოგვცემს 2.000 კუბურ მეტრ ბლოკებს და 10 ათას ტონა მარმარილოს ნამეცებს.

ამ უკანასკნელ ხანს დიზს ძმა გამოეჩნდა. მდინარე გვაშხარის სათავეებში ჟუბერთან გეოლოგებმა მარმარილოს ახალი მძლავრი საბადო აღმოაჩინეს. მალე ეს საბადო არანაკლებ პოპულარული გახდება,

ამ ზაფხულს ჟუბერში იმუშავებს გეოლოგიურ-საძიებო პარტია კოტე კარგარეთელის ხელმძღვანელობით.

ხოლო ცოტა უფრო შორს, ხაიშიდან 23 კილომეტრზე, ვეოლოგებს იზიდავს კარიერის მთა, სადაც აგრეთვე ბევრია მარმარილოს მშვენიერი გამოსაკალი.

ახლა რამდენი სხვა საშენი მასალაა სვანეთის მიწაზე! მერგელოვანი კირქვა, ასპიდის ფიქალი, შიფერი, ქვიშაქვა, გრანიტი, დიაბაზი. საითაც გაიხედავ, ყველგან მათ დაინახავ. მესტიის, ლენჯერის, ლატალის, მულახის კოლმეურნეობებმა კირის წარმოება გაიხალეს.

თბილისში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიურ სამმართველოში შეეკრიბა და გავიცანი გეოლოგები, რომლებიც სვანეთის მიწის წიაღის სიმდიდრის შესწავლაზე მუშაობენ.

ეს საინტერესო ადამიანები — არიან, თავიანთი საქმის დიდი მცოდნენი. გეოლოგიურ - საძიებო პარტიის ხელმძღვანელმა ზებედე ჩხიკვიშვილმა მრავალი წელი მოახმარა სასარგებლო წიაღიდან ბარიტის სამადნეთა ძიებას. მრავალი სამადნო პოლიმეტალური მადნები ოქროს, ტყვიას, თუთიას და სხვა ლითონებს შეიცავენ.

ოქროსთან დაკავშირებულია უძველესი ცნობები სვანეთის შესახებ. ოქროზე მოგვითხრობენ ძველი საბერძნეთის გეოგრაფებიც. დასავლეთ საქართველოს ტერიტორია ოქროს რომ შეიცავს, ეს პირველად მოხსენიებული აქვს ჰომეროსს. სტრაბონის მიხედვით, ის გვარმოება, რომ აქ ოქრო იყო, კოლხიდაზე არგონავტების თავდასხმის მიზეზი გახდა. სტრაბონი წერს: „კიდევ მოგვითხრობენ, რომ იქ (სვანეთში) ნიაღვარს მთებიდან ოქრო ჩამოაქვს... აქედან წარმოიშვა, როგორც ამბობენ, თქმულება ოქროს საწმისზე“.

გასულ საუკუნეში ცალკეული მეწარმენი არაერთხელ ეწეოდნენ ოქროს ქვიშრობების ძიებას დასავლეთ საქართველოს მდინარეთა ხეობებში, მათ შორის ენგურის ნაპირებზეც. პირველი დიდი თვითნაბადი ოქრო ენგურის ნაპირზე 1843 წელს იპოვნეს, სამი წლის შემდეგ აღმოჩენილ იქნა მეორე.

მიმდინარე საუკუნის ოცდაათიან წლებში ოქროს ცალკეული პირები ეძებდნენ. კვლავ იპოვნეს კილოგრამზე მეტი წონის რამდენიმე თვითნაბადი ოქრო. გამოირკვა, რომ ოქროს ნიშნებია ყველგან ენგურისა და მისი შენაკადების ეგრეთწოდებულ ალუვიურ დანალექებში. ყველაზე მდიდარი აღმოჩნდა ენგურისა და მისი შენაკადების დანალექები...

გასული წლის ზაფხულში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიური პრობლემების ლაბორატორიამ მეცნიერული ექსპედიცია გაგზავნა იალბუზზე იმისათვის, რომ გარკვეულობა შეეტანა ნახშირორჟანგოვანი მინერალური წყლის იმ მრავალი წყაროს შემდგომი ბედის საკითხში, რომლებსაც კავკასიონის უდიდესი მწვერვალის ირგვლივ ვხვდებით. მეცნიერმა თანამშრომლებმა რამდენიმე ასვლა მოახდინეს იალბუზზე, იღებდნენ გაზების სინჯებს ლაბორატორიული ანალიზებისათვის და რა მოხდა? გაზის გამოსავალი ტიპიური ვულკანური აღმოჩნდა. ექსპედიციის მუშაობამ დაადასტურა, რომ მცდარია ის შეხედულება, თითქოს ჯაღარა იალბუზი დიდი ხნის ჩამქრალი ვულკანია.

არა, იგი მკვდარი არ არის, იგი კვლავ „სუნთქავს“ და მოქმედებს. გამორკვეულია, რომ იალბუზის გარშემო არსებული ასზე მეტი ნახშირორჟანგოვანი წყარო განუწყვეტლივ შეიესება და მდიდრდება გაზებით, რომლებსაც მთვლემარე ვულკანი გამოჰყოფს.

ხოლო რას ვხედავთ ზემო სვანეთში? ძალიან ბევრ ადგილას წიაღიდან ამოდის ათობით და ასობით სულ სხვადასხვა წყარო — რკინისა, ნახშირორჟანგოვანი, რკინა-ნახშირორჟანგოვანი, რადიაქტიური და ბევრი სხვა.

ტყუილად კი არ არის, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი და შორიდან მოსულნი იკრიბებიან სვანეთის წყაროებთან მუაშში, მესტიაში, და სხვ. — სხვადასხვა დაავადებებს სამკურნალოდ. მე თვითონ მინახავს და მისინჯავს მინერალური წყალი მესტიაში, ბეჩოსა და ცხუმარში.

საერთოდ მინერალური წყაროებით უმდიდრეს კავკასიაში სვანეთი ყველაზე უხვი და მდიდარია. განა ეს ჯანმრთელობის მომავალი სამკედლო არ არის?

სვანეთში წიაღის მზეურავთა დიდი კოლექტივი შრომობს. ზოგი მათგანი გამოვლენილ საბადოებს იკვლევს, სხვები ახალ საბადოებს ეძებენ. ჯერ კიდევ ბევრი საიდუმლოებაა დაფარული აქ ქვის უზარმაზარი მასით. მაგრამ ადამიანები წინ მიდიან. და ალბათ დადგება დრო, როდესაც ეს სიმდიდრე ადამიანის სამსახურში ჩადგება, ხოლო ლეგენდებით მოსილი სვანეთი მთელ ჩვენს ქვეყანაში გაითქვამს სახელს.

გ. კლევაკინი.

* * *

სურათზე: მესტია.

გივი ჭრიფონის-ძე ნიორაძე

ხანმოკლე. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრი, პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო - საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, დოცენტი გივი ტრიფონის-ძე ნიორაძე.

გ. ტ. ნიორაძე დაიბადა 1908 წელს ზესტაფონის რაიონის სოფ. ძირულაში. საშუალო განათლება მიიღო ზესტაფონში, ხოლო 1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

1929 წლიდან გ. ნიორაძე თავდადებით ემსახურებოდა მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს, დაუცხრომლად იღვწოდა სახალხო განათლების ფრონტზე.

1942 წელს გ. ნიორაძე გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში და სამამულო ომის დამთავრებამდე აქტიურად მონაწილეობდა ბრძოლებში გერმანელ ფაშისტთა საბოლოო განადგურებამდე. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ იგი კვლავ უბრუნდება სახალხო განათლების საქმეს და მუშაობს ჯერ გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორის მოადგილედ, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში, ეკონომიკურ „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქტორად.

1960 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გ. ტ. ნიორაძე მუშაობდა პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორად.



1932 წელს გ. ნ[illegible] [illegible] ინსტიტუტი [illegible] ინსტიტუტ[illegible] [illegible] ხარისხია [illegible] ვედლად. იგი [illegible] თანაავტორი ქართული ენის სახელმძღვანელებისა. ავტორი ფოხოგრაფიული გამოკვლევებისა [illegible] ოდული ლიტერატურის სწავლებისა და სკოლის ისტორიის საკითხებზე.

გ. ნიორაძე მუდამ მხურვალე მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი 1939 წლიდან იყო სკკპ წევრი. სამამულო ომის პერიოდში ფაშისტური ვერმანიის წინააღმდეგ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობისათვის იგი დაჯილდოებული იყო „სამამულო ომის“ I და II ხარისხის, „ალექსანდრე ნევსკის“ ორდენებით. ომისშემდეგ ეროვნულ სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი, ნაყოფიერი და უანგარო მოღვაწეობისათვის მიღებული ჰქონდა „შრომის წითელი დროშის“ ორდენი.

გივი ნიორაძე იყო უაღრესად თავდადებული და პრინციპული, ფართო განათლებისა და მაღალი კულტურის მუშაკი.

გივი ტრიფონის-ძე ნიორაძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება რესპუბლიკის პედაგოგიურ საზოგადოებაში, მეგობრებსა და ამხანაგებს შორის.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო;

განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი;

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტი.

„გიგანტთა მატჩი“ მოგებულია — 173-169

ამერიკის ქალაქ პალო-ალტო ორი დღის განმავლობაში სპორტული სამყაროს ყურადღების ცენტრში იდგა. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა ტრადიციული შეჯიბრება მსოფლიოში აღიარებულია უდიდეს მოვლენად და მას სავსებით სამართლიანად უწოდებენ „გიგანტთა მატჩს“.

და აი ამ გრანდიოზულ ასპარეზობას, რიგით მეოთხეს, სტარტი მიეცა 21 ივლისს.

83 : 75 ამერიკელთა სასარგებლოდ — ასეთი იყო მატჩის პირველი დღის შედეგი. მაგრამ ეს დანაკლისი ანაზღაურებულ იქნა მეორე დღეს — 22 ივლისს და საერთო გამარჯვება კვლავ ჩვენს მძლეოსნებს ხვდათ, ამჯერად 4 ქულის სხვაობით — 173 : 169.

მეორე დღის ასპარეზობის გვირგვინი იყო მსოფლიო რეკორდსმენის ვ. ბრუმელის გამოსვლა სიმაღლეზე ხტომაში. 2 მეტრისა და 18 სანტიმეტრის დაძლევის შემდეგ ვ. ბრუმელს მეტოქე არა ჰყავდა. მან ერთბაშად 8 სანტიმეტრით გაადიდებინა სიმაღლე. სტადიონზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ნახტომი შედეგიანი აღმოჩნდა, ტრიბუნებს მოსწყდა ერთსულოვანი ტაში, ვ. ბრუმელს ულოცავდნენ ახალ მსოფლიო რეკორდს.

△ ვ. ბრუმელის ტრიუმფი პალო-ალტოში. △ ბ. კონოლის მსოფლიო რეკორდი. △ საბჭოთა სტაიერი — პ. ბოლოტნიკოვი კვლავ უძლიერესი იყო. △ საბჭოთა მძლეოსანთა ქალებმა განაცვიფრეს ამერიკელები. △ დასკვნითი დღის გრანდიოზული ფინიში.

ცავდნენ ახალ მსოფლიო რეკორდს. 2 მეტრი და 26 სანტიმეტრი — განსაცვიფრებელი შედეგია!

ახალი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა აგრეთვე ვ. კონოლის გამოსვლა ურიოს ტყორცნაში, მისი შედეგია 70 მეტრი და 66 სანტიმეტრი. ამერიკელებმა კარგი შედეგები აჩვენეს აგრეთვე მოკლე დისტანციებზე რბენაში.

მართალია, მსოფლიო რეკორდსმენსა და ოლიმპიურ ჩემპიონს პ. ბოლოტნიკოვს თვალსაჩინო მეტოქეობას უწევდა ამერიკელი მ. ტრუეკსი, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენი პირველი შეეხო ფინიშის ზოლს 10.000 მეტრზე რბენაში. დისტანცია მან დაფარა 29 წუთსა და 17,7 წამში.

საბჭოთა ქალებმა განაცვიფრეს ამერიკელები. მათ შეჯიბრების უმრავლეს სახეობაში პირველი ადგილი დაიკავეს. 80 მეტრზე თარჯრბენში უძლიერესი იყო ი. პრესი. თ. პრესმა ბადრო ტყორცნა 57 მეტრსა და 73 სანტიმეტრზე. შუბის ტყორცნაში გაიმარჯვა ე. ოზოლინამ და სხვ.

ჩინებული აღმოჩნდა საბჭოთა მძლეოსნების ფინიში, მათი საერთო გამარჯვება სრულყოფილი და დამაჯერებელი იყო.

* * *

სურათზე: მსოფლიო რეკორდსმენი ვ. ბრუმელი სარეკორდო ნახტომის დროს. ეს მომენტი გადაღებულია მოსკოვში.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

ბუდაპეშტი, 23 ივლისი. (სატელ.). მსოფლიო ჩემპიონატზე უმაღლეს პოლოტაში სპორტსმენებმა შესასრულეს სავალდებულო პროგრამის მეორე გარჯვა.

ბორის ორლოვი, რომელმაც პირველ დღეს ქულათა ყველაზე დიდი რაოდენობა მოაგროვა, მეორე ვარჯიშში წარუმატებლად გამოვიდა. ჩინებულ შედეგს მიაღწია მეორე საბჭოთა მფრინავმა ვიაჩესლავ ლოიჩკოვმა. მან მეორე ვარჯიშში 712 ქულა მოაგროვა და შეჯიბრების ორი დღის შედეგებით პირველი ადგილი დაიკავა — 1.400,2 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან პეტერ ფეიეში და იო